№ 2789
სამშაბათი,
5 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2789
სამშაბათი,
5 აპრილი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ღდე ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფ. 60 № 37.

ოსანა სერგეის ასული აკოფოვისა დიდის მწუხარებით უწყებს ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგებს უდროოდ გარდაცვალებას დიდად საყვარლის და დაუვიწყარის მეუღლისა

რუბენ ყაზარის ძის აკოფოვისას.

გარდაიცვალა ამა წლის 2 აპრილს. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6-ს საათზე, მინკვიცევის ქუჩ. № 5, სახლი აკოფოვისა კუკიაში, დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—157—1)

განცხადება

ძმ. თამამშევების ქარვასლის ვაჭრები

ამით საყოველთაოდ აცხადებენ, რომ ამა 1905 წლის 28 მარტიდან (გასულ ორშაბათიდან) ვაჭრობა იწყება დილის 8 საათზე და თავდება საღამოს 6 საათზე. ამასთანავე დადგენილია ყველასათვის სავალდებულოდ შემდეგი წესრიგი: ვაჭრობა სწარმოებს ულაპარაკოდ, ფასის აუწევ-დაუწევლად. გარდა ამისა, აკრძალულია მუშტრების დაძახება-შეხმობა მაღაზიებში.

თუ ვინიცობაა ამ ყველასათვის სავალდებულო წესრიგს ვინმე დაარღვევს, უმორჩილესად ვსთხოვთ პატივცემულ მუშტრებს, დაუყოვნებლივ აცნობონ ამის შესახებ თამამშევის ქარვასლის ვაჭრებს ბ-ნთ ს. ი. ფორაქაშვილს და ს. გ. ფარეშოვს, რომელნიც არჩეულნი არიან ქარვასლის ვაჭრებისაგან. (5—153—3)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

სამშაბათს, 5 აპრილს, დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად. სხვათა შორის საღამოს ასე 11 საათზე გაიმართება სამი ქავკასიური ჭიდაობა. ცნობილი ფალავანი მაისურაძე დაეჭიდება ცნობილ ფალავანს აგონაშვილს. გამარჯვებულს 25 მან. მეორე ჭიდაობა: ცნობილი ფალავანი ვანო თარხანოვი დაეჭიდება ფალავანს მედროვე არუთინოვს. გამარჯვებულს ვერცხლის საათი. მესამედ გამოჩენილი მოჭიდავე მაისურაძე დაეჭიდება ცნობილ ფალავანს ჟიბგირს. გამარჯვებულს 25 მან., რომელსაც ნიშნავს მაისურაძე. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დასაწყისი საღამოს $8^{1}/_{2}$ საათ. დაწვრილებით პროგრამაში. (1—1)

ვეტცელის თეატრი. ოთხშაბათს, 6 აპრილს წარმოდგენილი იქნება:
ქართულ თეატრის არტისტის ვ. ა. აბაშიძის სასარგებლოდ

I
საუბედურო დებიუტი
ვოდევილი 1 მოქმედ.

II
ბიძასთან გამოხუმრება
ვოდევილი ერთ მოქმედ.

III საღამოს ერთი ცხვირი ხეირია კომედ. ერთ მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ტასო აბაშიძე, ჯავახიშვილი; ბ-ნნი აბაშიძე, ივანიძე, იმედაშვილი, იორდანოვი, საფაროვი, შალიკაშვილი.
მონაწილეობას მიიღებენ: რუსულ ოპერის არტისტები ტომაშევიჩი, ა. ალექსი-მესხიშვილი, ქ. ჯაფარიძე, ი. ივანიძე.
ადგილების ფასი 2 მანეთიდან 30 კაპეიკამდე, დასაწყისი 8 საათზე. (2—უ.—2)

ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო „ფრანცია“, გაიხსნა პირველ ხარისხოვანი სასტუმრო

„გრანდ-ოტელი“

შუა ქალაქში, ფოსტის და ვაგზლის ახლოს. შენობა სრულიად გაახლებულია და ახლად მოწყობილი. ყოველივე მოწყობილება ახალია და საუკეთესო ღირსებისა, მშვენიერი რესტორანით, საოჯახო კაბინეტით და სამკითხველოთი, საუკეთესო სამზარეულოთი სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები გამოცდილ მზარეულის ზედამხედველობით. სასტუმრო განათებულია ელექტრონით. მოგზაურთ შეუძლიათ მოითხოვონ თბილი და ცივი ვანები და დუში. მოსამსახურეები ქალები და კაცები ცქვიტნი და ზრდილობიანნი. ნომრების ფასი ერთი მანეთიდან. ფასები ყველაფერზე ზომიერია. ყველგან და ყოველგვარად სისუფთავე და სიფაქიზეა. (15—ბ.—13)

კბილის ექიმი
ე. ი. ბაღდარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—278—9)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკლესიის გვერდით ტელეფ. 729. (30—91—24)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—48)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—50)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

ექიმი-ბებია
პ. ნ. დემიდოვი
ყოფილი ასისტენტი იურიევის (დერპტის) უნივერსიტეტის საბებიო-საგინეკოლოგო კლინიკისა, მიიღებს ავადმყოფებს საბებიო, ქალთა და ბავშვთა სნეულებისას ყოველ დღე, დილის 1-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა მხოლოდ კვირაობით 3-დან 4 საათზე. რეუტოვის ქ. № 22, ტელ. 313. (5—3)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ბინაზე: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და ნაშუადღევს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საათ. მიხეილის პრ. № 545

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
გ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.
ნ. ვ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^{1}/_{2}$—$10^{1}/_{2}$ ს.
ნ. ტ. ჟულიძე.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. დავითაშვილი.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ძ. მ. მაჭავარიანი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი ე. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^{1}/_{2}$ $1^{1}/_{2}$ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.
საღამოს:
ს. ი. გაბაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოდ აქვს ოთხი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერო—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 84 ნ.
ტელეფონი № 274.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

2 აპრილი

გუნჩულინი, 1 აპრილი. რუსის არტილერიის რაზმმა დაიჭირა, სროლის შემდეგ, სოფ. კანჩენზი, ჩანტაფუს მაღლობზე, რომელიც მანდარინის გზაზეა.

ტოკიო. ვლადივოსტოკის მკვიდრთ შაქარი შემოაკლდათ ომიანობის დროის გამო. ათასობით ამუშავებენ კულიებს სიმაგრეების ასაგებად. ვლადივოსტოკს 5 წყლის ქვეშ მცურავი ნავი მოვიდა ამერიკიდან. გაიქცა რუსის ორი აფიცერი, რომელნიც ხაიგოში იყვნენ ტყვედ, მაგრამ ისევ დაატყვევეს.

ლონდონი. ინგლისის ფლოტის ადმირალი ინგლი ამბობს თავის სტატიაში, შეუტაკებლობა შეუძლებელია, არ ითქმის ჯერ, მაგრამ შეიძლება პატარ-პატარა შეტაკებანი მოხდეს, რადგანაც რუსები იაპონიის წყლებში გამოჩნდნენ.

ნიუ-იორკი. აქ საერთოდ ისეთი აზრია, რომ საზღვაო ბრძოლა ფორმოზასა და იაპონიას შორის მოხდება.

გუნჩულინი, (საკუთარის კორესპონდენტისაგან). ხმებია, იაპონელებს, მუკდენის დათო. ისინი, ალბათ, აქტიურ მოქმედებას დაიწყებენ იმისდა მიხედვით, თუ რა ამბები მოუვათ საზღვაო ბრძოლის ასპარეზიდან. ამბობენ, იაპონელთ 450,000 ხიშტიანი ჯარის კაცი ჰყავთო.

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა ხელმწიფის სახელზე 1905 წ. 1 აპრილის თარიღით: „28 მარტს, ხუნხეს ხეობაში, ჩვენმა რაზმმა მტერი აღმოაჩინა, შემოუარა ორივე ფრთიდან მის პოზიციას და იძულებული გახადა იგი დაეხია დასავლეთისაკენ.

ამოი, 2 აპრილი. რუსის ესკადრის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვსვლია შაბათს შუადღემდე. დანამდვილებით ვიცით, რომ როჟესტვენსკის ესკადრა ჯერ არ შესულა ფუკიენის სრუტეში. ადგილობრივ მეზღვაურების აზრით, რომელნიც კარგად იცნობენ აქაურ სანაპიროების ყოველივე პუნქტს, როჟესტვენსკის განზრახვა აქვს მიაღწიოს პესკადორის კუნძულებს. თუ ეს მოახერხა მან, მაშინ მის ხელთ იქნება კარგი ბაზა ნახშირის საშოვნელად და საზღვაო ბრძოლისთვის მოსამზადებლად. იაპონელებიც აქ არჩევდნენ შებრძოლებას, რადგანაც შეუძლიანთ დაუყოვნებლივ წაიყვანონ დაზიანებული გემი საკუთარს ნავთსადგურში.

3 აპრილი.

გუნჩულინი, 2 აპრილი. ჩვენი ცხენოსანი რაზმი წინ წავიდა 15 ვერსტის მანძილზე, ჩანტუფუდან სამხრეთით. იაპონელთ მოწინავეებმა უკან დაიხიეს, გასწმინდეს რა სოფ. ცულიუში. სამხრეთ-აღმოსავლეთით რკინის გზიდან ჩვენმა კავალერიამ მტერი აღმოაჩინა.

გორიგაოშანი. ხმებია, იაპონელთ მთავარი ჯარები ტელინსა და მუკდენს შორის არიანო.

2 აპრილი.

ვარშავა. 1904 წლის 12 დეკემბერს გამოცემულ უმაღლესს ბრძანების ძალით, გენერალ-გუბერნატორმა წინად-[illegible] მისცა [illegible] საგან გაანთავისუფლეთ და სამხედრო ბინის არჩევა არსად დაუშალოთ იმ გლეხ-უნიატებს, რომლებსაც ადგილობრივ მთავრობის განკარგულებით პოლიციის ზედამხედველობა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

აბო, შაუმანის საქმეზე ჰოფ-გერიხტმა სცნა, რომ შაუმანს შეუდგენია ბარათი, რომელიც შეიცავდა ბოროტ-აზრებს სახელმწიფო ღალატზე, სცნა აგრეთვე, რომ ამნაირი ბარათი დოქტორ დულუსს შეუდგენია, მაგრამ არა მტკიცდება, რომ ამ ორ ბარათს კავშირი ჰქონდეს ერთმანეთთან, ან შაუმანს ვისთვიმე გაეზიარებინოს თავის ბარათის შინაარსი, ამიტომ ჰოფ-გერიხტმა შაუმანი უდანაშაულოდ იცნო: სახელმწიფო ღალატისათვის არ ემზადებოდაო.

პარიზი. მენელიკმა გადასწყვიტა უარ-ჰყოს ფრანგების თხოვნა, რომ აბისინიის რკინის გზის მონოპოლია მისცემოდათ. აბისინიის მთავრობა თითონ აპირობს დირე-დუარ-ადის-აბების რკინის გზის აშენებას.—სამინისტრო წრეებში დაპირაკია ნიგერის სესხზე—112 მილიონ ფრანკზე ჰუკონ-ხანკოუს რკინის გზის ასაშენებლად.—კოლონიების სამინისტრომ შეატყობინა ცნობა მიიღო მადაგასკარიდან აჯანყებაზე. მაშველი ჯარია საჭირო. მეამბოხენი ჰხოცავენ კოლონისტებს და კუნძულებზე მიდიან.—ბეფორონს ახლო ნაპოვნ ოქროს ძარღვს 100 მილიონ ფრანკად აფასებენ. გამოკვლევიდან სჩანს, რომ მადაგასკარის სხვა ადგილებშიაც შეიძლება იპოვონ ოქრო.—მინისტრთა საბჭომ უარ-ჰყო პარლამენტის კომისიის წინადადება ორდენების გაუქმების შესახებ.—გაზ. „ენტრანსიჟანს“-ი იუწყება, ვითომ მინისტრების უკანასკნელ სხდომაზე, მინისტრებმა მოითხოვეს, დელკასე სამსახურიდან გადადგესო. დელკასემ ვითომ ნება ითხოვა, პრეზიდენტ ლუბეს მოელაპარაკოთ, და ლუბემ ვითომ ურჩია, არ გადადგეთ სამსახურიდანაო.—სპარსეთის შაჰი ივნისში საფრანგეთს მოვა და პირდაპირ კონტრექსვილში წავა მოსარჩენად. შემდეგ შაჰი პარიზს წავა ლუბეს სანახავად.

მიტავა. კურლიანდიის გუბერნიაში გუბერნატორის განცხადებაა გაკრული გაძლიერებულ დაცვის წესების შემოღებაზე.

ვარშავა, 2 აპრილი. გენერალ-გუბერნატორი გენერალ-ადიუტანტი მაქსიმოვიჩი პეტერბურგს წავიდა.

3 აპრილი.

ჰელსინგფორსი, 2 აპრილი. ფინლიანდიის სეიმი დიდის ამბით დაიხურა.

ნიკოლაევი. ყველა ადგილობრივ სტამბაში 8 საათის სამუშაო დღე დააწესეს.

პარიზი. ოფიციალურად ჰმოწმობენ, რომ მაროკოს საქმე კარგად მიდისო. სულთანი დასთანხმდა ტალანდიეს მიერ ნარჩევ რეფორმებს, ციხოვნე ჯარს ფრანგი აფიცრები უფროსობდნენ.—ადელინა პატის საპატიო ლეგიონის ორდენი ებოძა.—სენატის სხდომაზე ადმირალმა კიუვერვილმა ბეჯითად მოითხოვა კრედიტი ინდო-ჩინეთის დასაცველად, არსენალების გასაუმჯობესებლად, დიდ გემებისა და წყალ-ქვეშ მავალ ნავების გასაგზავნად. ამავე დროს კიუვერვილმა ურჩია მთავრობას, მკვიდრ ხალხის სიყვარული უნდა მოვიპოვოთ, თორემ უამისოდ კოლონიის შენარჩუნება შეუძლებელიაო.

ჰამბურგი, 2 აპრილი. გემი „ჰერმესი“ 11 მეზღვაურით დაიღუპა ჰელგოლანდთან.

განჯა, 2 აპრილი. სომხების უქმის, წმ. გრიგოლის დღესასწაულის გამო ყველა მუსულმანის მაღაზია დაიკეტა ადგილობრივ ეროვნებათა კეთილ-განწყობილების ნიშნად.

მოსკოვი, 3 აპრილი. დიდის მთავრის მკვლელის საქმეს მართებულ სენატის განსაკუთრებული საკრებულო გაარჩევს 5 აპრილს, [illegible] ბაზში წოდებათა წარმომადგენლების თანადასწრებით. საკრებულოში მონაწილეობას იღებენ სენატორები დეიერი, გრაფი ბობრინსკი, კუროვსკი, ვარვარინი, ვოლოსნსკი და თავადი შირინსკი-შახმატოვი. ბრალმდებლად იქნება სენატის პროკურორი შჩეგლოვიტოვი. დამცველად ბრალდებულმა აირჩია ნაფიცი ვექილები ტესლენკო, მანდელშტამი და ჟდანოვი, მაგრამ რადგან ტესლენკო მოსკოვში არაა, მხოლოდ ორი ვექილი დაიცავს. ბრალდებული ივანე კალიაევია, უბნის პოლიციელ ზედამხედველის შვილი, მოსკოვისა და პეტერბურგის უნივერსიტეტების სტუდენტი. კალიაევის დედა და და მოსკოვში მოვიდნენ.

პარიზი, 2 აპრილი. დღეს ბირჟაზე ხმა გავრცელდა იმპერატორ ფრანც იოსების გარდაცვალებაზე. ავსტრიის საელჩო უარ-ჰყოფს ამ ხმას. უარ-ჰყოფენ აგრეთვე იმ ხმასაც, ვითომ ბოლგარიის მთავარი ევროპის მთავრობებთან ბოლგარიის სამეფოდ გამოცხადებას ცდილობდაო.

მარსელი. აქ სათვისტო გემით მოსულებმა სთქვეს, კალკუტაში შავი ჭირი მძვინვარებს, [illegible] 300 [illegible] ზილები გარბიან ქალაქიდანო.

სტამბოლი, 2 აპრილი. გვაუწყებენ, კრიტოსელებს შეატყობინეს სახელმწიფოებმა, ცოტა რამეს დავითმობთ დამოუკიდებლობის ბაირაღისა და პასპორტების შესახებო, მაგრამ კუნძულის საბერძნეთთან შეერთება კი შეუძლებელიაო.

ჰელსინგფორსი, 3 აპრილი. ერობათა წარმომადგენლები დაეთანხმნენ იმ კომისიის დასკვნას, რომელმაც დაადგინა, 1,800,000 მარკა, რომელიც ყოველ წლივ უნდა გადაეცეს სახელმწიფო ხაზინას სამხედრო საჭიროებისათვის, მიეცეს მხოლოდ 1905 წ.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა განუცხადა ტფილისისა, ერევნისა და ბაქოს ქალაქის წარმომადგენლებს, კავკასიის წარმომადგენლებს, ჩემის აზრით, ნება მიეცემათ დაესწრონ იმ საგანგებო თათბირს, რომელმაც უნდა შეიმუშაოს 18 თებერვლის რესკრიპტისამებრ მოსაწვევ კრების სხემაო.

ვარშავა. 30 მარტს სამხედრო სასამართლოში გაარჩიეს საქმე დაბალ მოქალაქე ვლადისლავ დომბროვსკისა და გლეხებ იან შეჩიკოვისა და ტომაშ ზელინსკისა, რომელთაც ბრალად უბნის ზედამხედველისთვის იარაღის წართმევა ედებათ, 16 იანვარს მომხდარ არეულობის დროს. სამივეს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს. ბრალდებულთ გაასაჩივრეს სასამართლოს გადაწყვეტილება.

ადესა, 3 აპრილი. პედაგოგიურმა საზოგადოებამ დაადგინა, იშუამდგომლოს მინისტრთა საბჭოს წინაშე, მოხდეს საშუალო სკოლის რეფორმა თანხმად 18 თებერვლის გამოცემულ უკაზისა. საზოგადოებამ შემდეგი 10 პუნქტი შეიმუშავა: ა) საყოველთაო ვალდებულება ელემენტარულ სწავლებისა; ბ) მთავრობის სკოლები ყველასათვის ხელ-მისაწდომი უნდა იყვნენ განურჩევლად წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა; გ) გიმნაზიების დაბალ კლასების გაერთიანება საქალაქო სასწავლებლების კლასებთან; დ) სასტიკად განისაზღვროს კანონის ძალით ბიუროკრატიის გავლენა სკოლაზე; ე) გაძლიერდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციები სკოლებში; ვ) გაუქმება სახალხო განათლების სამინისტროს ცენზურისა წიგნებზე და პედაგოგიურ რჩევისადმი სრული თავისუფლების მინიჭება სახელმძღვანელოების ამორჩევაში; ზ) პედაგოგებს ჰქონდეთ ნება ამოირჩიონ დირექტორი და ინსპექტორი; თ) გაუქმება ძალდატანებისა რელიგიურ აღზრდაში; ი) გათანასწორება ქალებისა სკოლებისა ვაჟებისასთან და კ) მიეცეს ერობებს, ქალაქებს და საზოგადო დაწესებულებებს ნება თავისუფლად გახსნან სკოლები, რა პროგრამითაც მოისურვებენ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

2 აპრილი

საიგონი, 1 აპრილი (ჰავასი). მცურავმა აქ, 9045 ტონა ნახშირი მიიღო, სურსათი და მედიკამენტი. ავადმყოფების მომვლელმა ქალმა და ექიმმა-ფრანგმა უთხრეს გაზეთის კორესპონდენტს, რუსის ესკადრა ვლადივოსტოკში მიდისო.

ჰონკონგი. (რეიტერი). ხმებია, ბალტიის ესკადრა ორ ნაწილად გაიყოო; ერ-ნაწილი ანამბას კუნძულთანაა, მეორე იავასთანო.

სიტიაზი. 1 აპრილი. ღამის 10 ს. და 40 წ. კავალერიის წინა რაზმებს შეტაკება ჰქონდათ აღმოსავლეთით, 28 მარტს, იაპონელთა ბატალიონთან სოფ. ხოიშიმუსა და მხულინთან. იაპონელებმა უკან დაიხიეს.

ტოკიო, 1 აპრილი. („დეილი ტელ.“). იაპონიის საელჩომ სეულში იკისრა კორეიისა და უცხო სახელმწიფოებს შორის საქმეების წარმოება. ჩინეთის ელჩი გაიწვიეს სეულიდან.

ტოკიო, [illegible]. ოფიციალურად იუწყებიან, იაპონიის ჯარები, რომელნიც ხაილუნის გზით ილაშქრებდნენ აღმოსავლეთისაკენ, 1 აპრილს შეეჯახნენ რუსის რაზმს ხოიშიმუს ახლოს. რუსებმა უკან დაიხიეს. იმ რაზმმა, რომელიც მოდიოდა ჩრდილოეთით, ხონძინის მხრიდან, იერიში მიიტანა რუსის პოზიციებზე, პახემიდან სამხრეთით.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი ამბობს გემ „ორიოლ“-ის შესახებ, აქ დაჭრილებზე ლაპარაკიც კი მეტია, მაგრამ ცნობის მთელი აზრი იმაშია, რომ რუსის გემი ნეიტრალურ ნავთსადგურში შევიდაო.

სიტიაზა, 2 აპრილი. კავალერიისა და მოხალისეთა რაზმს შეტაკება მოუხდა იაპონელთა ორ როტასთან 39 მარტს სოფ. იაპონცზიაცზისა და სინ-მინიუს შორის. როგორც ხმებია, დიდძალ ჯარს აგროვებს თურმე მტერი ჩვენის ბოლო მარცხენა ფრთის წინააღმდეგ, მანდარინის გზის ახლო.

3 აპრილი

ჩანჩავაძი, 2 აპრილი. დონის პოლკის მზვერავმა რაზმმა, სოტნიკ ისონოვის [illegible] ტელეგრაფის მავთულები და გაიგო, სადაც მტერი დაბანაკებული. გამოირკვა, რომ იაპონელებმა გასწმინდეს ცულიუშუ და გარშემო მდებარე სოფლები და წაიყვანეს ჯარები ჩანტუფუში. ჩვენმა მსროლელებმა დაიჭირეს ცულიუშუ. ჩვენმა კავალერიამ გააძევა მტერი გაოშანის სამხრეთით. სინკლიპუს ახლოს ჩვენმა მზვერავებმა გაანადგურეს იაპონელთა პოსტები და გააძევეს მტერი სამხრეთით 15 ვერსტის მანძილზე.

ტოკიო. საზღვაო მთავრობამ პესკადორისა და ლიუ-ლიუს კუნძულებზე სამხედრო დებულება გამოაცხადა.

პეკინი, 1 აპრილი (რეიტერი). ინგლისსა და ჩინეთს შორის მოლაპარაკებით ცოტათი შეიცვალა ტიბეტთან შეთანხმება. გადასდეს ინგლისის ბაზრების გამართვა ტიბეტში. ტიბეტის საქონლები, რომელნიც ინდოეთში [illegible] აქვთ, დროებით განთავისუფლეს სადამოჟნო გადასახადისაგან.

პეტერბურგი, 2 აპრილი. ოფიციალური. პრესაში აცხადებენ, განზრახვა აქვთ, თამბაქოს მონოპოლია შემოიღონ ჩვენშიაო; ეს ამბავი ტყუილია.

ვენა, 2 აპრილი. ერთ კრებაზე ანტისემიტების მეთაურმა ლიხტენშტეინმა სიტყვა წარმოსთქვა უნგრეთთან პირად უნიის წინააღმდეგ და მოითხოვა, ჯარები და დიპლომატია საერთო იყოს, ფინანსების მართვა-გამგეობა მონარქის ხელში დარჩეს, რაც საჭიროა განსაკუთრებით ახლა, როცა რუსეთმა მეორე ხარისხის ადგილი დაიჭირა საერთაშორისო საქმეებში და მისი ადგილი ავსტრიამ უნდა დაიჭიროს ბალტიის კუნძულზე, იკისროს იქ ქრისტიანეთა დაცვა და მშვიდობიანობა ჩამოაგდოსო.

ეკატერინბურგი, 2 აპრილი. კრასნოუფიმსკის სამრეწველო სასწავლებლის შეგირდების მთელ კომპლექტს, რომელიც დაითხოვეს სასწავლებელში არეულობის მოხდენის გამო, საზოგადოების მოთხოვნით ხელ-ახლა მიიღებენ სექტემბერში.

პეტერბურგი. რადგანაც პუტილოვის ქარხნის მუშებმა სულ უფრო და უფრო გაადიდეს თავიანთი მოთხოვნები და, როცა უნდათ, მაშინ იღებენ ხელს მუშაობაზე, ამიტომ პუტილოვის ქარხანა დახურულია გამგეობის დადგენილებით. მუშებს გაუსწორდებიან 16 აპრილს.

ვარშავა. სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა სამს კაცს, რომელთაც უბნის ზედამხედველ აბრამოვიჩის დაცემა ბრალდებოდათ. ბრალდებულთ გაასაჩივრეს გადაწყვეტილება.

ბაქო, 2 აპრილი. გუბერნატორი თ. ნაკაშიძე არღვევს ცნობას ბაქოში ხოლერის გაჩენის შესახებ. ხოლერით არავინ გამხდარა აქეთ.

რომი. სენატმა მიიღო გერმანია-იტალიის

პეტერბურგი. რადგანაც სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა კომიტეტში გაცხარებით მუშაობაა და აგრეთვე იქნება მთელს ზაფხულს, ამიტომ ჩვეულებრივი კანიკულები არ იქნება წელს.

ლიმოჟი, 3 აპრილი. ფაიფურის ქარხანაში გაფიცული მუშები გუშინ შევიდნენ გავედანის ქარხანაში, დაამტვრიეს იქ ფაიფური და შემდეგ გაანადგურეს იარაღის ორი მაღაზია. წესიერების დასაცველად ჟანდარმერია გამოიწვიეს.

ჯულფა, 3 აპრილი. არეზზე ნავით გადასვლის დროს ოცდა ათამდე სპარსელი დაიხრჩო.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ამერიკელ კორესპონდენტის ნაამბობი. როგორც ვიცით, იაპონელებმა ტელინის გზაზე, სხვათა შორის, ამერიკულ გაზ. „ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის კორესპონდენტი მაკ-კულოხი დაატყვევეს და მალე ისევ გაანთავისუფლეს. განთავისუფლებულმა მაკ-კულოხმა დაწვრილებით აღწერა, როგორ დაატყვევეს იაპონელებმა 5 ათასი რუსი ტალიენპუსთან, მუკდენის ჩრდილოეთით. კორესპონდენტი, სხვათა შორის, შემდეგსა სწერს: რუსებს მრავალი თავზე ხელაღებული მამაცი ხუნხუზი ჰფვლოდა, მაგრამ ამათაც ჩამოუშვეს ცხვირი, როცა დაინახეს, რომ იაპონიის გვარდიის აფიცერმა ტაკაშიმამ ისე მოხერხებულად დააყენა ჯარი, რომ რუსებს მთლად წრე შემოავლო. რუსებმა სთხოვეს მაკ-კულოხს, როგორც ინგლისელსა და მაშასადამე იაპონელების მეგობარს, ტაკაშისთან წასულიყო თეთრის ბაირაღით და დამორჩილებაზე მოელაპარაკებოდა, მაგრამ კორესპონდენტმა არ იკისრა ეს საქმე, იაპონელებმა თითონვე შეაყენეს ზარბაზნის სროლა, რაკი გათენების ხანს კარგად გაიგეს რუსების მდგომარეობა. რუსისა და იაპონელი სალდათები მალე დაუმეგობრდნენ ერთმანერთს. გენ. კუროკიმ უთხრა თურმე მაკ-კულოხს „მშვენიერი შემთხვევა გაქვთ დასწეროთ, რომ ჩემი გვამი ჯერ იაპონიაში არ წაუღიათ, როგორც ადრე გაზეთები აცხადებდნენო.“ გენ. კუროკიმ აქო რუსის სარდლების ქცევა, მაგრამ, იმის აზრით, უფროსები ცუდად წინამძღოლობენ სალდათებსაო. („ნ.“)

უცხოეთის პრესის აზრი მომავალ საზღვაო ბრძოლაზე. ბერლინიდან ატყობინებენ „რუსკოე სლოვო“-ს: ყველა აქაური გაზეთი არჩევს რუსის ფლოტის მოქმედებას [illegible] ძით უფრო [illegible], რომ იაპონელები ზღვაზეც ისე საიდუმლოდ მოქმედებენ, როგორც ხმელეთზე. ადმ. როჟესტვენსკიმ გინდ ნაწილ-ნაწილად დაამარცხოს რუსის ფლოტი, მაინც ეს გამარჯვება არ იქნება, რადგან რუსის ადმირალს სწრაფი კრეისერები არა ჰყავს დამარცხებულ მტრის დასადევნებლად, მაგრამ თუ რუსის ფლოტი დამარცხდა, ომიც გათავებულად ჩაითვლებაო. ჰფიქრობენ, რომ მუკდენთან დამარცხების ამბავი როჟესტვენსკიმ რუსის კონსულისაგან გაიგო სინგაპურშიო. („რ. ს.“)

გერმანული გაზ. „კელნიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: ადმ. როჟესტვენსკიმ დაივიწყა ძველი სამხედრო წესი, რომ „ბრძოლის დროს სარდალს ჯარი არ მოსჭარბდებაო“ და კონტრ-ადმირალ ნებოგატოვის ესკადრას აღარ მოუცადა. უეჭველია, რუსებს იმედი აქვთ, რომ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა მარტოკაც გაუმკლავდება იაპონიის ფლოტსა. ახლო მომავალი გამოაჩენს, რამდენად საფუძლიანია ეს იმედი, მაგრამ აქამდე საქმე მუდამ ისე მიდიოდა, რომ ამისთანა იმედს არავითარი საფუძველი არა აქვს. („ო. ნ.“).

გაზ. „პოსტ“-ი სწერს: რაწამს ადმ. როჟესტვენსკის ესკადრა მალაკის სრუტიდან გავა და ჩინეთის სამხრეთ ზღვაში შევა, უნდა ყოველ წამს მზად იყოს იაპონიის ფლოტთან საბრძოლველად. ამას გარდა, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მრავალი კუნძულია. იაპონიის სუმბუქი კრეისერები შეუნიშნავად მიმალებიან ამ კუნძულებთან და მარჯვე დროს მოულოდნელად დაეცემიან რუსებს. იაპონიის უმთავრესი ფლოტი-კი, ალბად, კუნძულ ფორმოზას ჩრდილოეთით დგას სადმე. მალე დიდი საზღვაო ბრძოლა მოხდება და ეხლანდელ ომის ბედი საბოლოოდ გადაწყდება. („ბ. ვ.“).

თუმცა სამხედრო მიმომხილველების უმეტესობა იმ აზრისაა, რომ იაპონიის ფლოტი გაცილებით ძლიერია და სწრაფულ მავალია რუსის ფლოტზე, მაგრამ ბევრი სამხედრო მიმომხილველი არ ეთანხმება ამ აზრს და ამტკიცებს, რომ რუსის ფლოტი არც ისე სუსტია იაპონიის ფლოტზე, როგორც ჰგონიათ.

გერმანელი ვიცე-ადმირალი ვალუა სწერს „დაიჩე რევიუ“-ში, იაპონიის ფლოტს დიდი და სუმბუქი ზარბაზნები ნაკლები აქვს რუსისაზე, საშუალო ზარბაზანი-კი მეტი აქვსო.

ადმ. როჟესტვენსკი მოერიდება ბრძოლას. როგორც ვიცით, ზოგი სამხედრო მიმომხილველი ჰფიქრობს, ადმ. როჟესტვენსკი მოერიდება ბრძოლას და უმთავრესად იმას იცდება, როგორმე ხელიდან გაუსხლტეს ადმ. ტოგოს და თავის ფლოტის ერთი ნაწილი მაინც მიიყვანოს ვლადივასტოკს. „ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: როგორც მოსალოდნელი იყო, ადმ. ტოგო არ წავიდა კუნძულ ფორმოზას სამხრეთით და რუსის ფლოტს ზონდის არხიპელაგში არ დაუხვდა. საეჭვოა, რომ ადმ. ტოგო ჩინეთის ზღვაშიაც შეებრძოლოს ადმირალ როჟესტვენსკის. რუსის ადმირა[illegible] მოერიდოს. სამაგიეროდ იაპონელები გაბედულად დაეცემიან რუსის სუმბუქ გემებს და უმთავრესად ტრანსპორტებს. იქნება ამ დროს რუსებმა ესკადრის გადასარჩენად, რამდენიმე გემიც შესწირონ მსხვერპლად. თუ ადმ. ტოგო სადმე შეებრძოლა რუსის ფლოტს, ადმ. როჟესტვენსკიმ რომ თავის ესკადრის მომეტებული ნაწილი დაღუპოს და მხოლოდ ხუთი საუკეთესო ჯავშნიანი გემი გადაარჩინოს და ვლადივასტოკს მიიყვანოს, ესეც დიდი საქმე იქნება. რუსის ესკადრა რომ ჩრდილოეთისაკენ კუნძულ ფორმოზასა და კორეის სრუტისაკენ წავიდეს, დიდ განსაცდელში ჩავარდება. ამიტომ მგონია, რომ რუსის ადმირალი ჩინეთის ზღვიდან წყნარ ოკეანეში გავა იაპონიის გარშემო სუნგარის სრუტისაკენ გაემართება. რასაკვირველია, ადმ. ტოგო აქაც დაუხვდება რუსის ფლოტს, მაგრამ აქ უფრო მეტი იმედია, რომ რუსის ფლოტი როგორმე ღამით, მოულოდნელად ხელიდან გაუსხლტეს იაპონელ ადმირალს, ვიდრე სხვაგან სადმეო.

დეპეშამ გვაცნობა, ვითომ ამერიკელი მეზღვაური აფიცრები ჰფიქრობენ, ადმ. ტოგო ვლადივოსტოკში გაუშვებს ადმ. როჟესტვენსკის ესკადრასაო.

ამ ერთის თვის წინად „მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტიც იუწყებოდა ტოკიოდან: აქ ლაპარაკობენ, იქნება იაპონელებმა რუსის ფლოტი უბრძოლველად გაუშვან ვლადივოსტოკში, მერე ხმელეთიდანა და ზღვიდან ალყა შემოარტყან ვლადივოსტოკს და რუსის ფლოტი აქაც იმნაირადვე გაანადგურონ, როგორც პორტ-არტურის ესკადრა გაანადგურესო. („ო. ნ.“).

ახალი ცნობები რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედებაზე. თითქმის არავითარი ცნობა არ მოდის რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედებაზე. ჰფიქრობენ, რომ მომავალი საზღვაო ბრძოლა სადმე ამოის (ჩინეთშია, კუნძულ ფორმოზის პირდაპირ) ახლო, ან ფორმოზასა და იაპონიას შუა მოხდება. ადმ. ტოგო პესკადორისა და ფორმოზას კუნძულებთან დგას, ადმ. როჟესტვენსკიც ვითომ იქითკენ მიდის. ნიუ-იორკიდან იუწყებიან, იქნება ადმ. ტოგომ ბრძოლაში ერთი ან ორი პორტ-არტურის ზღვიდან ამოღებული რუსის გემიც მოიხმაროსო.

უცხოეთის სააგენტოები იუწყებიან 29 მარტის თარიღით: ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის ერთმა რაზმმა კონტრ-ადმირალ ენკვისტის უფროსობით ანამბასის კუნძულების გვერდზე გაიარა, მეორე რაზმი ადმ. ფელკერზამის უფროსობით ბანკის კუნძულთან დგასო. („მ. ვ“)

შეცდომის გასწორება. კვირის ნომერში მეოთხე სვეტზე დაბეჭდილია: „ბაზას კუნძულის სამხრეთით“, უნდა იყოს „ფორმოზას კუნძულის სამხრეთით“.

სოფლად

ს. დიღომი (ტფ. მაზრა). ამას წინად [illegible] საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდის ილაპარაკეს და გამოარკვიეს თავიანთი მოთხოვნილებანი. ყრილობის შემდეგ მთელი საზოგადოება დაიძრა სოფლისკენ წითელის დროშებით და „გაუმარჯოს ერთობის“ ყვირილით. მივიდნენ თავ. მუხრანსკის მოიჯარადრესთან და წარუდგინეს შემუშავებული მოთხოვნილება. შემდეგ მივიდნენ ეკკლესიაში და მღვდლის თანადასწრებით შეჰფიცეს ერთმანეთს ერთობაზე. მოთხოვნილებანი აქაც იგივეა, რაც სხვაგან, მცირეოდენის განსხვავებით. მოგვყავს ზოგიერთი მუხლი. მოისპოს გლეხთა დროებით ვალდებულება და ხიზნობა: მათი ნადელები უსასყიდლოდ მიეცეთ სრულ საკუთრებად; ყველა გლეხს დაუბრუნდეს ის მიწა-წყალი, რომელიც ჩამოერთვა ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს; სახაზინო და საეკლესიო გლეხებს საკუთრებად მიეცეთ ის საეკკლესიო და სახაზინო ადგილები, რომლითაც დღეს სარგებლობენ; დაუბრუნდეთ გლეხებს ის ფული, რომელიც გადაიხადეს თავის დახსნის ან სხვა ხარჯების გადახდისთვის; ეს ფული გადახდეს აგრეთვე საუფლისწულო და საეკლესიო მამულებს; ამით დაარსდება განსაკუთრებული ფული; მიწის ღალა არ უნდა აღემატებოდეს მთელის შემოსავლის მეათედს; მოისპოს ყოველივე წოდებრივი უპირატესობა; სრული თვით-მმართველობა როგორც სოფლისა, ისე მაზრისა; სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში საქმე ქართველთათვის სწარმოებდეს ქართულ ენაზე; მოისპოს დრამა და ეკლესია ჩამოშორდეს სახელმწიფოს; უფასო სწავლა ქართულ ენაზე 16 წლამდე; მოისპოს არა პირდაპირი გადასახადები; სალდათები ჩვენშივე დარჩნენ; მოისპოს საერობო დარაჯი; თავისუფლება სიტყვისა, კრებისა და სხვა.

სოფ. ხორში (სამეგრელო). 24 მარტს დაიწვა ქაღალდებიანად სოფლის სასამართლო და მასთან მოსწავლეების სტოლებიც რადგან სამინისტრო სკოლის ორი განყოფილება აქ იყო მოთავსებული. 26 მარტს გამოკრეს გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება, რომლის ძალითაც აკრძალულია ყოველგვარ იარაღის ტარება, კრების მოხდენა მამასახლისის ნება დაურთველად. მოკვლა ანუ სხვის სახლის დაწვა. დამნაშავეს 3000 მან. ჯარიმა ანუ 3 თვე საპყრობილე. ხალხი დამშვიდებულია. ყოველგვარი ავკაცობა მოისპო. ქ. გ—ა

ს. წინანდალი (კახეთი). როგორც სხვა სოფლებში, გლეხთა მოძრაობამ აქაც იჩინა თავი. ოცდა ათს მარტს წინანდალში თავი მოიყარა რამდენიმე სოფლის გლეხობამ. პირველად მივიდნენ სასოფლო სამმართველოსთან და ჩამოიღეს „ვიველკა“; იქიდან გაემართნენ თავ. მ. ჭავჭავაძის სასახლისაკენ, მოსთხოვეს თავადს ხელ-წერილი, რომ მიეცა მათთვის სახნავი და საძოვარი მიწები, ისე როგორც სხვა მხარეს მისცეს თავადებმა გლეხებს. თავ. ჭავჭავაძემ პირველად უარი სთქვა, მაგრამ გლეხებმა ასტეხეს ყვირილი: „რახან არ გინდათ შესრულოთ ჩვენი თხოვნა, ჩვენ დღეიდან აღარ ვიმუშავებთ თქვენს მამულში, წაგართმევთ მოსამსახურეებს და პურის მცხობელ დედაკაცებს, თქვენს მამულში იმუშავეთ მარტო თქვენ და პური კიდევ ქნენამ გამოაცხოს და მაშინ გაიგებთ და დააფასებთ მშრომელ ხალხსაო“!—თავადმა რამე უბედურების ასაცდენად მისცა გლეხებს ხელ-წერილი, მოიხმარონ მამული ისე, როგორც უნდათ, ოღონდ ის დასტოვონ უვნებლად. გლეხებს შეუერთდნენ სახელმწიფო ზვრის მუშები (ამავე სოფლის მცხოვრებნი), რიცხვით 500—600 კაცი და წითელის დროშით (ჯოხზე წითელი ხელსახოცი გაეკეთებინათ) გაემართნენ სახელმწიფო ზვარში, აუხსნეს თავიანთი საჭიროება სახელმწიფო ზვრის მოურავს და სთხოვეს [illegible] და თვიურ ქირის მომატება. მოურავმა, ცოტა ხნის ყოყმანის შემდეგ, ხელი მოაწერა და ქირა მოუმატა. შემდეგ გლეხები მშვიდობიანად დაიშალნენ. ვ.—შვილი

პირველ აპრილს ტფილისიდან **თითონეთში გაიგზავნა** ტფ. გრენადერთა პოლკის ერთი როტა.

სოფ. ზემო ხოდაშენი (კახეთი). წარსულ კვირას მომრიგებელი შუამავალი მივიდა ხოდაშენში, სადაც ხალხის ყრილობა იყო, და ბჭობა ჰქონდა თავის გაქირვებაზე. მომრიგებელმა შუამავალმა წინადადება მისცა ხალხს, აერჩია რამდენიმე კაცი, რომელნიც გადასცემდნენ ხალხის გაჭირვებას და მოთხოვნებს. არჩეულებმა აცნობეს თარჯიმანის საშუალებით (რადგან მომრიგებელმა შუამავალმა ნ. რ. გოგნიაშვილმა არ იცის ქართული ენა, მოწვეულ იქმნა მღვდელი სარდიონ ალადაშვილი): ჩვენს სოფელში სცხოვრობს 78 კომლი სახელმწიფო და 38 კომ. სამონასტრო გლეხი. ეს მონასტერი ათონის იმ მონასტერთაგანია, რომელიც ერთ დროს ქართველებისა ყოფილა, საზრდოთ მიუციათ დასახლებული მამულები. ახლა-კი, დროთა ბრუნვის გამო, მონასტრიდან ქართველები გამოუძევებიათ, ბერძნები დაპატრონებიან და დაულალავის ბეჯითობით სწველიან მამულსაც, ჩვენ გლეხებსაც. დღეს მონასტრის დროებით ვალდებულნი გლეხნი ვართ. არც ერთს გლეხს ხელის ოდენა მიწა არ აკუთნის, სულ ხელში უჭირავთ და ვისაც მოგვახვეჭ[illegible] ხედი მოსავლისა ჩვენისავე ურმით უნდა მივართვათ; ვიდრე მოვხნავდეთ, უნდა დღიურზე 50 კაპ. ფულად მივართვათ, უამისოდ მიწას ზედ არ დაგვახედებენ. ამ ფულს ამიტომ „წინგასავალს“ ეძახიან. წინად სამონასტრო ტყით უფასოდ ვსარგებლობდით სამონასტრო გლეხნი, ახლა-კი ერთი ჩხირის გამოტანა არ შეგვიძლიან უფასოდ. სახელმწიფო გლეხთ კომლზე ნახევარ დესიატინა, ე. ი. ერთი დღიური მამული გვიჭირავს, ამასთან 40 დეს. რიყე გვაქვს მოცემული, რაც ხოდაშნის ხევს უჭირავს და ქვის მეტი არა არის-რა, ბალახიც არ მოდის, რომ საქონელი ვაძოვოთ. გაზაფხულზე და ყოველ დიდ ავდრის დროს ნიაღვარი გადარეცხავს ხოლმე. რა მოვა ამისთანა ალაგზე? წინად ჩვენ, სახელმწიფო გლეხთ, ობოლიძეში გვექირა 332 დესიატ. მიწა სახნავი და იოლას მივდიოდით. როცა გამიჯვნა დაიწყო, ჩვენი სოფლის თავადის ქალი ერთ მიწის მზომელს ჰყავდა ცოლად, რომელსაც ხოდაშნის ტყეში წილი ჰქონდა. ეს იყო დოდაშვილი მაღაროელი. ამას წინადადება მიეცა სახელმწიფო მამულების გამგეობისათვის, თქვენი კუთვნილი ობოლიძეში 332 დესიატინა სახნავ ტყეში გამიცვალეთ, უფრო მეტი შემოსავალი გექნებათო. გამგებელი დასთანხმებოდა და ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ სახელმწიფო გლეხებს წაგვართვეს ობოლიძე და დოდაშვილს—მაღაროელს ჩააბარეს, ჩვენ-კი დავრჩით გულხელ-დაკრეფილნი. ესეც არ გვაკმარეს. რაც ხანი გადიოდა, სახელმწიფო გადასახადი დიდდებოდა. 1901—1904 წლამდე წელიწადში 1313 მან. გვახდევინებდნენ. ამ სამ წელიწადს

ფელეტონი

მახეთი 1812 წ.

ისტორიული ამბავი

უოვლად შემძლებელს ღმერთს გასცემთ პასუხს,—მოახსენებენ მირზაანელნი თ. იოსებ ანდრონიკაშვილს,—თუ ჩვენს ამბავს სავსებით არ მიუტანთ მთავარ-მართებელსო. ჩვენი და მირზაანელ ქევხს დიმიტრას საჩივარი და შევიწროება ისაა, რომ ცოლებს გვტაცებდნენ, ქმრებს ხელებს უკრავდნენ და ჩვენ თვალწინ ჩვენ ცოლებთან მრუშობდნენ. დედა-კაცი წივის და ჰკივის, კაცო, მიშველე; ქმარი-კი ღუღღუღებს: რა გიშველო შეკრულ-შებოჭილმა.

[illegible] იითაც კაპიტანი მაყართვი ჩაგვიყე[illegible] კვირით. მტერი არ დააწიო[illegible], როგორც მაყართვმა აგვი[illegible]ლა. კაცი აღარ დარჩენილა მირზაანში, შიშით მამა-კაცობა აქეთ-იქით მიიმალა. სადა-კი მოგვასწრობდნენ, ცემით ტყავს გვაძრობდნენ. გვქონდა რამე თუ არა, სულ ერთი იყო მაყართვისთვის, უნდა გვეგვაგლახნა, გვეყიდნა და ისე მიგვერთმია. მერე ხორცითაც რომ არა კმაყოფილდებოდნენ დალოცვილები! უთუოდ ქათმებიც უნდა გვეშოვნა. ღოთობას ნუღარ იკითხავთ, გაილეშებოდნენ, ბატონო, დაერეოდნენ დედა-კაცებს და ზურგზე სულ ბოლს ადენდნენ.—მეზობელს ქორწილი ჰქონდა. კაპიტანმა მაყართვმა 40 სალდათი გაგზავნა მასპინძლისას, ნეფე-დედოფალი კარში გამოარეკინა, მაყრიონი და მექორწინენი ცემა-ტყეპით [illegible]. მოვითმინეთ შერცხვენა და ხელი [illegible].—ზამთრობით მთელი სამი წე[illegible] თითოს, ან ორად სალდათს გვიყენებდნენ სახლში გამოსაკვებად. დანახარჯის ფული უნდა გადაეხადნათ, პირობა ასე იყო, მაგრამ ხარჯის დაბრუნების მაგიერ სალდათების უფროსმა კაი-კაი გვიცხუნა და ძალათი ხელი მოგვაწერინა ქაღალდზე, ვითომდა, რაც გვეკუთვნოდა, ყველაფერი მივიღეთ.—ვსთქვათ, დაისაჭიროს 40 ბეგრის ურემი. თუმცა გვპირდებოდნენ,—ქირას არ გვაძლევდნენ, მაგრამ ქირას ვინა სჩივის, უბედურება აი რა იყო. ორმოცი ურმის მაგიერ ბარგი-ბარხანას დაუდებდნენ ოც ურემზე, რადგან საქონელი ვერ ერეოდა უზომოდ დადებულ ურემს, მოგვცვივდებოდნენ ხოლმე გაბრაზებული სალდათები და ცემა-ტყეპით გვაღუღუდებდნენ. ერთი კვირის მაგიერ თვეობით ვეყარეთ ხოლმე ბეგარაზე. ან ავდარი, ან თოვლი მოგვისწრებდა, საქონელი გვეყლიტებოდა და შინ ცარიელ-ტარიელი ვბრუნდებოდით,—პურის მიმღები გვაჩვენებდა საწყაოს, ჩვენ თვალწინ არწყამდა, აწონავდით და მაროლაც საწყაო ფუთს იჭერდა. ასე ვიტანჯებოდით, მაგრამ ხორბალს რომ მივზიდავდით ბეღლებში, სხვა საზომავსა სდგამდნენ. ფუთის მაგიერ შკიდი ლიტრა ჩადიოდა და ფუთად-კი გვიანგარიშებდა ხოლმე. ხაზინიდან ლიტრაში ორ შაურს გვაძლევდნენ, ჩვენ თვითონ-კი ლიტრა პურს ორ აბაზად ვყიდულობდით და ისე ვაბრიდით. ერთი-ორი ლიტრა რომ დაგვაკლებოდა ჩაბარების დროს, სულს არ მოგვათქმევინებდნენ, რომ გვეყიდნა და შეგვევსო დანაკლისი, ცემითა გვხოცდნენ ხოლმე.—გზების გასაკეთებლად, სამუშაოდ ბარ-ნიჩბით და ცულებით გავდიოდით; მუშაობას რო გავათავებდით, შინ არ გვიშვებდნენ, ვიდრე ქრთამს არ მივსცემდით. თუ საქრთამო არა გვქონდა-რა, სამუშაო იარაღს წაგვართმევდნენ, პანღურს ამოგვკრამდნენ და შინ ისე გაგვრეკავდნენ ხოლმე. საყარაულოდ ცხენებით გავდიოდით; ვადა რომ გვითავდებოდა, შინ არ გვიშვებდნენ, ვიდრე ქრთამს არ მივცემდით. ასეთ ტანჯვა-ვაებასა და მწუხარებაში ვიყავით,—წუწუნებენ მირზაანელნი.

როდესაც ერთი სოფელი მეორეზე საჩივარს შეიტანდა, დაიბრიდნენ ორთავესა პასუხის მისაცემად, განზრახ წაჰკიდებდნენ ერთი მეორეს დაწუნარება-დამშვიდების მაგიერ, ერთმანეთზე ასისიანებდნენ, ქრთამებს ბლომად იღებდნენ, მაგრამ სამართლიან მსჯავრს ვერც ერთი სოფელი მაინც ვერ ეღირსებოდა ხოლმე. როცა გენერალი პორტნიაგინი მობძანდა პურის საყიდლად, ქევხს პირით მოვახსენეთ ჩვენი ნაკლებულობა და შევეხვეწეთ გვემსახურნა შეძლებისამებრ. პორტნიაგინმა არც აცივა, არც აცხელა, როგორ თუ ეს გამიბედეო, აიღო და ქევხს ნაობახტში უკრა თავი. ვიდრე ქრთამი არ მიართვა ქევხამ, ნაობახტიდან არ გაანთავისუფლეს.—დამნაშავესა და ბრალიან კაცს რომ მოგვთხოვდნენ ხოლმე, ვიჭერდით და მიგვყავდა მთავრობასთან. მოხელენი ქრთამს ასწაპნიდნენ და დამნაშავეს ანთავისუფლებდნენ, მერე მოგვდგებოდნენ და სულს გვიმწარებდნენ—ცუდი კაცები თქვენში, აი თქვე ასეთ-ისეთებოვო.

მას შემდეგ, რაც უფალმა ღმერთმა და ჩვენმა ბატონმა (მეფე) ჩვენი თავი ხელმწიფეს ჩააბარა, ცუდ-კაცობა არა ჩაგვიდენია რა და სიმრუდე არ გამოგვიჩენია. ვემსახურებოდით ხელმწიფეს პირნათლად, საითაც გვიკრავდნენ თავსა, მივდიოდით, კრინტი არ დაგვიძრავს,—არა, არ წავალთო. დავდიოდით ბეგარაზე ხარ-კამეჩით და ურმებითა განჯას, გუმბრისა, ახალციხეს, ნუხას, იმერეთსა. თუ ხარ-კამეჩით არ შეიძლებოდა სამსახური, ჯარს ცხენებს ვახმარდით ტვირთის საზიდათ, მაგრამ არც საქონელი და არც ურემი უკან აღარ დაბრუნებულა, ყველაფერი დაგვეღუპა. ასე გასინჯეთ, ტომრებიც-კი დაგვეკარგა.

გამოგვიცხადეს, ჯარი თვითონა ზიდავს სურსათს, ოღონდ თქვენ ხარები უყიდეთო და ბეგრისაგან თავისუფალი იქნებითო. თითო ხარზე 15 მან. გამოვიდა, ხუთ-ხუთი მანათი დაუმატეთ და ჩავაბარეთ საჭირო საქონელი, მაგრამ ბეგარაზე მაინც გაგვრეკეს. ჯაფისა და მოუვლელობისაგან ნაყიდი საქონელი გაილახა და ჩვენ მოგვიღალეს გამოსაკვებად. ვისაც გაძვალ-ტყავებული საქონელი ხელში შემოაკვდა, თითო სულზე 15 მან. გადაახდევინეს.

ამითი თავდება მირზაანელების დარდისა და ვარამის სია.

მეკითხები,—სწერს არქიეპისკოპოსი რუსთველი სტეფანე მარკოზ პაპუნჩას,—რა იყო მიზეზი კახეთის დრევა-ამბოხებისაო.—მღვდელმთავრული ფიცითა ვარ შებორკილი, დაწვრილებით ვერ აგიწერ იმ ტანჯვა-ვაებას, რაც კახელობამ გამოიარა, მაგრამ მაინც რამდენადაც ჩემი გონება მისწვდება, მოგახსენებ.

უგანაწყენელ დრომდე, კახეთში დაბანაკებულ ჯარის უფროსი, აგრეთვე მისი ხელქვეითნი, უბრალო სერჟანტიც-კი, გლეხ-კაცობას ისე ექცეოდნენ, როგორც უერმოჭრილ ყმასა. როგორც ჰსურდათ, ისე იმსახურებდნენ. სამსახურსა და უმობას არა სჯერდებოდნენ, ხალხს აწვალებდნენ და სტანჯავდნენ, ასე გასინჯეთ საქონელსაც არ ინდობდნენ. შეუბრალებლად და უღვთოდ ეკიდებოდნენ ერთსაც და მეორესაც. მერე ათასში ერთხელ ხომ არა, მუდმივ, განუწყვეტლივ, დღე, კვირა, თვე გადიოდა, ხალხისა და პირუტყვის შეწუხებას-კი შეღავათი არ ეძლეოდა. ერის საოწარკვეთილებას დასასრული არ უჩანდა.—გაიფუჩქნებოდა თუ არა გაზი, მიესეოდა სალდათობა ვენახებსა და შემოაფცქვნიდა ხოლმე კვირტსა და ფოთოლს საჭმლის გასამყვლელად. ხალხი თავს იცლავდა და ბრაზით გულზე სკდებოდა, ვენახების კავერანებას რომ ხედავდაო.

კომისიონერები რას არა სჩადიოდნენ, ვინ მოსთვლის. ოც კოდიან ურემ პურს თხუთმეტად იღებდნენ, საწყაოს ფეხითა, ან დიდი კეტებით სტკენავდნენ და რაც ხორბალი დაიბნევოდა, იმას აღარ ანგარიშობდნენ.—ვისაც პური არა ჰქონდა, ბეს უბრუნებდა, მაგრამ კომისიონერი არ იღებდა, ვიდრე კოდ პურში არ დასცინცლავდა 2 მანათსა, ხან 2 მან. და 40 კაპ. პური მაღაზიაში ზამთრობით მოჰქონდათ. ორ-სამ კვირას აზერებდნენ და ვიდრე მეურმე ქრთამს არ მისცემდა, პურს არ იბრიდნენ. საქონელი და ხალხი კი სიცივითა და შიმშილით იტანჯებოდა.

მაზრის გამგებელნი ყურსაც არ იბერტყავდნენ, თითქოს ამ საძაგლობის ამოფხვრა მათი საქმე არ ყოფილიყოს.

ვსთქვათ ხალხს შეუკვეთეს ყაზარმის, ან თავლის აშენება. მზა-მზარეულ, აშენებულ სახლს დააქცევინებდნენ ხოლმე, რა არის, კარები აქეთ უნდა დაეტანებინათ და არა აქეთაო, ფანჯარა აქეთ უნდა იყვეს და არა აქეთაო. სიტყვით არ ითქმის და კალმით არ დაიწერება, თუ რა სასოწარკვეთილებას ეძლეოდა ერი ამის მნახველი და ამის გამგონე.

მაგალითი არა ყოფილა, რომ საქმე დასრულებულიყოს და ბოლო მოჰღებოდა სასამართლოში, ან სათემო პოლიციაში. თუ-კი რამე გათავებულა, უსათუოდ ქრთამს უმუშავნია, უქრთამოდ ზედაც არ შეხედავდნენ საქმესა. სამსჯავრო პროცესის გაჭიანურებით მობეზრებული მომჩივანი ქრთამს აძლევდა მოსამართლეს, აჰა, შეგეცხლე, ოღონდ მოიპე ჩემი საჩივარი და თავიდან მომწყდიო.

სოფლად ჩაყენებულ ჯარის უფროსები ტაცაობით მიდიოდნენ იოლად, უსასყიდლოდ მიჰქონდათ სანოვაგე: ღვინო, პური და ყველაფერი, რაც-კი საჭიროა ადამიანის საცხოვრებლად. ათასში ერთხელ თუ გაიმეტებდნენ რასმეს, მაგრამ გამეტებული ისე მცირე იყო, რომ სათქმელად არა ღირს. ჯარის უფროსთა ასეთი საქციელი დიდად სწაგრავდა ერს.

აფიცრები ჯერ სახელმწიფოდ მოათიბინებდნენ თივას, მერე თავიანთთვის და უსასყიდლოდ აზიდვინებდნენ. სრული სამი თვე უნდებოდა გლეხი-კაცობა ამ ვაი-ვაგლახს. ამას ხომ არა სჯერდებოდნენ დალოცვილები. საბძლებში უცვინდებოდნენ და ძალით მიჰქონდათ თივა და ბზე. საკუთარი საქონელი-კი შიმშილისაგან ძლივს დალასლასებდა და ნიათ გამოლეული წყდებოდა. დიდი მწუხარება და უბედურება ტრიალებდა ამის გამო ხალხშიო, ბრძანებს მღვდელ-მთავარი. (დედანში: великая народная скорбь.).

ოცობით, ოც და ათობით გაჰყავდათ ბეგარაზე ურმები. მთავრობას თვა[illegible]ითი ურემზე

სხვაფრივ გალატაკების გარდა, ვენახები ამოგვეარდა უწამლობით. ახლა წელიწადში 720 მან. გვახდევინებენ და ამის გადახდაც აღარ შეგვიძლიან, ისე გავღარიბდით. ჩვენ ძველადვე უფასოდ ვსარგებლობდით თავ. საგინაანთ ტყით, საიდანაც გამოგვქონდა შეშა, ფიჩხი, ჭიგო და სახლ-ურემის საშენებელი მასალა. გამიჯვნის დროს ჩვენის სარგებლობის უფლება გამოვაცხადეთ. სასამართლომ მოგვცა სარგებლობის უფლება. დაგვიწყეს საგინაანთ ლაპარაკი, რომ ჩვენთვის მოჭრით საკუთრებად მოეცათ ტყე. მოვრიგდით: 250 დესიატინა მოგვეცა სახელმწიფო გლეხებს, 250 დესიატინა—სამონასტრო გლეხებს. ეს 500 დესიატ. ტყე ხაზინამ დაიჭირა და ჩვენ პირში ჩალა გამოგვავლო. სოფლის თავში ჯაგნარი ადგილია, რომელიც მამა-პაპათა დროიდან საძოვრად გვქონდა, ჯაგს კიდევ უსაქონლონი ფიჩხათ ხმარობდნენ, ახლა „ლესნიჩმა" ჩამოგვართვა, შიგ აღარავინ შეგვიშვა.

ამიტომ ვთხოულობთ:

1. სამონასტრო სახაზინო ადგილები და ტყე დაუბრუნდეს სამონასტრო გლეხებს უფასოდ; 2. სახელმწიფო გლეხთ დაუბრუნდეს ობოლიძეში 332 დესეტინა სახნავი, რომელიც ახლა დოდაშვილს მაღაროელს უჭირავს; 3. დაგვიბრუნდეს უსამართლოდ ჩამორთმეული 500 დესეტინა ტყე საკუთრებად; 4. დაგვიბრუნდეს სოფლის თავში ჭაგნარი საბალახედ, როგორც საუკუნოებით გვჭერია და გვისარგებლია უფასოდ; 5. გარდა ზემოდ მოხსენებულ სახაზინო გადასახადისა ჩვენ კიდევ ვიხდით კომლზედ 5 მან. მამასახლისის, მწერლის, გზირების და ათას სხვის შესანახად, არც მამასახლისი, არც მწერალი და არც გზირები და მოსამართლენი ჩვენ საქმეს არ აკეთებენ. ესენი, სხედან თუ დადიან, პოლიციის ბრძანებას ასრულებენ; ან ქაღალდებსა სწერენ, ან გირაოები გააქვთ საწყალ ხალხის სახლებიდან, რომ დუქნებში დააგირაონ თავის მუცლის ამოსავსებად. მოგვაშორონ, არც მათი მამასახლისი გვინდა, არც მწერალი, არც გზირები, არც პოლიცია და მოსამართლეები, მოგვეცეს ნება ჩვენ ავირჩიოთ ჩვენი კაცები, რომლებიც ყველა საქმეს გაგვიკეთებენ და თუ დასაწერია, დასწერავენ გასაგებ ენაზედ ქართულად. 6. მოისპოს კოდი პურის და ქერის მიცემა მღვდლისათვის, იმას სახელმწიფო ჯამაგირი დაენიშნოს; 7. ეკლესიის შენახვა და დარაჯობა იკისროს ყველა წოდებამ თანასწორად; 8. ჩვენი სოფელი მიწერილია აწყურის ორ-კლასიან საეკლესიო სკოლაზედ. ჩვენი შვილები იქ 5—6 წელიწადს სწავლობენ. ისე არის მოწყობილი სწავლება, რომ ბავშვების თავში ისე არა დგება ნასწავლი, როგორც ცხრილში წყალი. სწავლა გვინდა, გვსურს სიბნელისაგან გამოსვლა და ვერ-კი შევვისრულებია სურვილი, რადგან სწავლების წესის შემომღები გვემტერება, არ უნდა ჩვენი სიბნელიდან გამოსვლა; ყველაფერი ქართულად ასწავლონ ჩვენ შვილებს, ქართულად ნასწავლი დაახსომდებათ და გამოადგებათ კიდეც; 9. მოისპოს აქციზი და მოგვეცეს ნება თავისუფლად არყის ხდისა; 10. ბეითლები სწორედ ღვთის რისხვანი არიან. როცა კი მოსვლას დააპირებენ, ჯერ მოვარდება საერობო დარაჯი, მოიტანს ამბავს, ამა და ამ დღეს ბეითალი მობრძანდება, თქვენი საქონელი გზაზე უნდა გარეკოთ, ღობეზე გამოაბათ თვითეული მწკრივად, რომ ბეითალმა გასინჯოს, ავად ხომ არ არიანო. ამ ამბვის მოტანისათვის უნდა თივა-ქერი ცხენისათვის, ქათამი, ღვინო და პური მოამბისათვის, მანამ ბეითალი მობრძანდება. ბევრჯელ დაგვიბამს დილით საქონელი და, საღამომდის ვლოდნივართ და არ მოსულა. ახლა მოვა ბეითალი, იმასაც ახლავს საერობო დარაჯი, ახლა საკუთარი ჩაფრები. ყველა ამათ და ამათ ცხენებს უნდა გავუმასპინძლდეთ. ბეითალი მაზრის უფროსზედაც დიდიაო, ამბობენ სოფელში, რასაკვირველია, დახვედრაც შესაფერი უნდება. ბევრი საწყალ კაცის უკანასკნელი ქათამი ინთქება და ხან კრუხს ახლად დაწყობილ კვერცხებს აცლიან, რომ დააკმაყოფილონ სოფლის პირად გამხდარ ბეითლის ამალა. ბეითალის საქმე მოწესრიგდეს ისე, რომ იგი საქმეს შველოდეს და სოფელს ათასნაირ გაჭირვებას არ აყენებდეს. 11. ჩვენი შვილები სამხედრო ბეგარას ადრე აქ საქართველოში იხდიდნენ. მაშინ ტანთსაცმელიც შესაფერი ჰქონდათ, საჭმელ-სასმელიც, არც ილეობოდნენ და მშვიდობით ბრუნდებოდნენ სახლში. ჯერ ქუდი და ფეხსაცმელი შეუცვალეს, მერე ჩოხა გახადეს და ბოლოს ადგილიც შეცვალეს. საქართველოს ბადლად რუსეთში დაუწყეს გზავნა. ახლა იქიდან ცოტანი-ღა ბრუნდებიან ცოცხლები, მეტი წილი იქ იხოცება. ვინც ბრუნდება, ისიც დაავადებული, აყადმყოფი, აღარც რჩებიან, მომეტებულნი ჭლექში ვარდებიან და იხოცებიან. ჩვენთვისაც აკარგებიან და სახელმწიფოსაც არას არგებენ; ვთხოულობთ, რომ წინანდელი წესი განახლდეს და ჩვენ შვილებს სამხედრო ბეგარა აქვე მოახდევინონ. 12. რაც ხანი საერობო დარაჯები გააჩინეს, მას აქეთია აუტანელი ხარჯი დაადეს უძრავ მამულს. ამან ზოგან წინ გასავალი გაადიდა, ზოგან ლალას მოუმატეს, ეს სულ გლეხებს გვაწვება კისერზედ. საერობო დარაჯნი-კი რას აკეთებენ? არაფერს. მაზრის უფროსმა სოფელში რო გაგზავნოს, ორი კაცი თან უნდა გააყოლოს—ერთი გზის მასწავლებლად და ერთიც თარჯიმანად. თუ სოფლად ან სადმე გზაზე გააჩერეს, ისე დღეს არ გაიყვანენ, რომ არა დაიკარგოს-რა მის ახლო-მახლო, რაღა დარაჯია, თუ საცა ის იქნება, მარტო იქ იკარგება? ახლა დიდმა და პატარამ იცის, რომ საერობო დარაჯნი არავისთვის სასარგებლონი არ არიან; მოისპოს საერობო დარაჯის რაზმები და მასთან ერთად მოისპოს უძრავ მამულზედ დადებული ხარჯი. 13. ვთხოულობთ, პოლიცია ჩამოგვეხსნას, ნურც ჩვენ მოგვიდგება და ნურც ჩვენგან არჩეულ მოხელეებს მიეკარება. ჩვენ ვიცით და ჩვენმა მოხელეებმა; 14. გზის საკეთებელ ბეგარაში მონაწილეობა მიიღოს ყველა წოდებამ; 15. ჩამოერთვას სამონასტრო ზვარი და გადაეცეს ჩვენი შტატის ეკლესიის საკუთრებად, იმის შემოსავლით ინახებოდეს ეკლესია და მისი კრებული; 16. მოგვეცეს ფართო თვითმმართველობა ანუ ერობა დაფუძნებული საყოველთაო, პირდაპირ, დახურულ, ყველასათვის თანასწორ და ორივე სქესის არჩევანზედ; 17. ვუერთდებით რუსეთის გლეხთა მოთხოვნილებას დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ შემდგარ ყველა ხალხის წარმომადგენლებისაგან ფარული, პირდაპირ, ყველასათვის თანასწორ და ორისავე სქესის არჩევნების უფლებაზედ დამყარებული.

ყველა ეს სიტყვიერად მოახსენეს გლეხებმა და ქართულად დაწერილი გადასცეს მომრიგებელ შუამავალს, რომელმაც სთხოვა მამა ალადაშვილს რუსულად ეთარგმნა. მღვდელი დასანხმდა. გადათარგმნა და 30 მარტს რუსულად თარგმნილი გაატანეს კაცს მომრიგებელ შუამავალთან. გლეხები ამბობენ, ქართულიც უნდა გაუგზავნოთ, იქნება რუსულად კარგა არ არის ნათარგმნიო. ძალიან ნაკლებად ენდობიან რუსულ ნაწერს, იმთავითვე მაგან დაგვღუპა: ჩვენ არ გვესმოდა და სწერდნენ, რაც უნდოდათო.

ნადიკვრელი.

ახალი ამბავი

✦ „პრავ. ვესტ."-ში დაბეჭდილია ოფიციალური ბრძანება კავკასიის ნამესტნიკის სამხედრო ნაწილის თანაშემწედ **გენერალ მალამას დანიშვნის** შესახებ.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, **ქუთაისის გუბერნიაში ბევრგან სოფლელებმა** მოხელეები დაითხოვეს, კანცელარიები დასწვეს და, საზოგადოდ, შესწყვიტეს ურთიერთობა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. პირველ აპრილს გენერალ-გუბერნატორმა თავ. ჯამბაკურ-ორბელიანმა ბრძანება გასცა „1. აღდგენილ იქმნენ თავიანთ უფლებებში სოფლის მოხელენი. თუ ამათ უარი განაცხადეს, დაინიშნენ მცხოვრებთა ხარჯით მამასახლისები, მათი თანაშემწენი და მწერლები; 2. მცხოვრებთა ხარჯით დაქირავებულ იქნას სადგომები სასოფლო სამმართველოებისათვის; მცხოვრებთ დაევალოთ დაუყოვნებლივ შეუდგნენ დაზიანებულ შენობების შეკეთებას".

✦ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ პეტერბურგში უნდა მოხდეს **სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა კრება.** ამ კრებაზე წასაკითხად ჟურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს" ქართველ და სომეხ ჟურნალისტთაგან გაეგზავნა შემდეგი დეპეშა: „სომხურ და ქართულ პრესის მოღვაწეებმა და ლიტერატორებმა თათბირზე ერთხმად დაადგინეს მიეგებნენ ჟურნალისტთა კრებას და გულწრფელად უსურვონ, რომ კრებამ შესძლოს მოუპოვოს რუსეთში პრესსას ის დიდი და ღირსეული მდგომარეობა, რომლის მეოხებითაც იგი გადაიქცევა ხალხის აზრის ნამდვილ გამომხატველად და დიად, გავლენიან საზოგადოებრივ ძალად. სომხურ და ქართულ პრესსის მოღვაწენი და ლიტერატორნი, უერთდებიან რა იმ ძირითად საფუძვლებს, რომელიც შეიმუშავა ჟურნალისტთა თათბირმა პეტერბურგში 4—6 მარტს, საჭიროდ სცნობენ მოითხოვონ, რომ მწერლობის შესახებ კანონმდებლობაში არ იქნას შეტანილი ისეთი რამ, რაც შეზღუდავს ბეჭდვითი სიტყვას ადგილობრივ ენებზე. ჩვენა გვსურს, თანასწორი წევრნი ვიყვნეთ მთელ სახელმწიფოს ჟურნალისტთა და ლიტერატორთა ოჯახისა და ყოველგვარი შეზღუდვა ჩვენ მიერ მიღებული იქნება არა მარტო როგორც უსამართლობა, არამედ როგორც ღრმა შეურაცხყოფა. გულით ვუსურვებთ წარმატებას ჟურნალისტთა კრებას".

✦ როგორც ბაქოდან გვატყობინებენ, 1 აპრილს, ნაშუადღევის სამ საათზე, **გაფიცულან** რკინის გზის დეპოს მომუშავენი და მოსამსახურენი. ამ დღიდან საქონლის მატარებლების მიმოსვლა შეჩერდა. სახალხო მატარებლები-კი ჯარის დახმარებით გამოდიან ბაქოდან. 2 აპრილიდან არ გასულა სამსახურში არც ერთი მოსამსახურე, არც დეპოს მუშები და არც მემანქანენი, მათი თანაშემწენი, მიმოსვლის აგენტები, ტელეგრაფისტები, მეისრენი და კონდუქტორები. არც ელექტრონის განათება იყო გუშინდლამდის. თვითეულის ნაწილის მოსამსახურეებმა წარადგინეს თავიანთი მოთხოვნანი. წესიერება და სრული სიწყნარეა, გაფიცულნი არავის არას უშავებენ. დანარჩენი მოსამსახურენი აცხადებენ, გვეშინიან გამოვიდეთ სამსახურის ასასრულებლად, რადგან სიკვდილს დაგვიმუქრნენო. კონდუქტორთა ბრიგადა 4 აპრილს სადგომებიდან ჯარის კაცებმა მოაცილეს სადგურამდე, და ასე გაუშვეს სახალხო მატარებელი. თითქმის ყველა ნაწილის მოსამსახურენი თხოულობენ ჯამაგირების მომატებას და ცხოვრების პირობათა გაუმჯობესებას.

✦ 31 მარტს განჯაში, როგორც გვატყობინებენ, **გაიფიცნენ** ლიანდაგის მუშები, დარაჯები, მემანქანენი და დეპოს მუშები, ასე 300 კაცამდე. ამათ შეაყენეს მატარებლების მიმოსვლა და მოხვეტეს ყველა მოსამსახურე როგორც მიმოსვლისა, ისე ტელეგრაფისა. დასტოვეს მარტო ერთი ტელეგრაფისტი. როგორც-კი რომელიმე მატარებელი მოვა, მაშინვე გადმოსხამენ კონდუქტორებს და აქრობენ ორთქლ-მავლებს. ყოველ გვარი აპერაცია და მიმოსვლა მატარებლებისა შეწყვეტილია. ამათაც წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნანი. ჩამოვიდა ერთი როტა სალდათი.

✦ **გაიფიცნენ** რკინის გზის მუშები და მოსამსახურენი ევლახის, კუროჭაის და ზახალის სადგურზე. 2 აპრილს მოსამსახურეებმა ერთად გაანებეს თავი მუშაობას. ესენიც თხოულობენ ცხოვრების პირობათა გაუმჯობესებას და დანაპირის ასრულებას. სახალხოს გარდა სხვა მატარებლები არ დადიან.

✦ აჯიქაბულში, როგორც გვწერენ, 1 აპრილს, საღამოს რვა საათზე, **გაიფიცნენ** რკინის გზის მუშები და მოსამსახურენი. გაფიცულთ განაცხადეს, იმპერიის თითქმის ყველა რკინის გზაზე მოსამსახურეებს მოუმატეს ჯამაგირები და გააუმჯობესეს სადგომები, ჩვენც-კი დაგვპირდა გზის უფროსი და ასრულებით-კი არ აუსრულებია, ამიტომ სანამ არ გააუმჯობესებთ ჩვენს მდგომარეობას, არ გამოვალთ სამუშაოდაო. გაფიცულნი წყნარად იქცევიან. ყოველივე აპერაცია და მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია. მხოლოდ სახალხო მატარებლები დადიან. 4 აპრილამდის არაფერი ცვლილება არ მომხდარა.

✦ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის** უფროსმა მისწერა ბაქოს, ევლახის, განჯის და აჯიქაბულის უფროსებს, გამოუცხადეთ მოსამსახურეთ, სამინისტროდან განკარგულება მოვიდა, რომ არავითარი მომატება ჯამაგირებისა არ შეიძლება ეხლა, რადგან გზა ომიანობის დროის წესზეაო. ამასთან უფროსი ატყობინებს, რომ მდგომარე თვეში ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობაში მოხდება თათბირი; ამ დროს განიხილავს გამგეობა იმ თხოვნებს, რომელიც შეეხება ჯამაგირების მომატებას და ცხოვრების პირობათა გაუმჯობესებას; შემდეგ დადგენილება წარდგენილ იქნება პეტერბურგში. ვინც ამ ცირკულიარის შემდეგ არ გამოვა სამსახურის ასასრულებლად და უარს განაცხადებს, დაისჯება ომიანობის დროის წესებით.

✦ 3 აპრილს ტფილისის **სასმელ-საჭმელების დუქნების** პატრონებმა დაკეტეს დუქნები. მთელს ქალაქში თითქმის აღარც ერთი სასმელის დუქანი არ იყო ღია. პოლიცმეისტერმა მედუქნეებს გამოუცხადა, რადგან თქვენ თქვენის ნებით და ზოგიერთა პირების შთაგონებით დუქნები დაკეტეთ და ხალხს საშუალება წაართვით კვირას სასმელ-საჭმლის მიღებისა, სამის დღით დაისჯებით დუქნების დაკეტვითაო. გუშინ 300 მედუქნემ ქალაქის მოურავს სთხოვა, ნება მიეცით ეხლავე გაიღონ დუქნები და ვაჭრობა განაახლონ. კვირას, 3 აპრილს ჩვენის ნებით დავკეტეთ დუქნები, რადგან საჭიროდ ვსცანით შესვენება და დუქნების დაკეტვა-გაღების უფლება რად უნდა წაგვერთვას, როცა პატენტები ყველასა გვაქვს აღებული და გადასახადები გასტუმრებულიაო. დუქნების გაღების გარდა მედუქნეები თხოულობენ, ნება მიეცეთ საბჭოს დარბაზში კრება გამართონ მოსალაპარაკებლად და თავიანთ მდგომარეობის გასაუმჯობესებელ საშუალებათა შესამუშავებლად. ქალაქის მოურავის თხოვნით გუბერნატორმა გუშინვე ნება დართო კრების გამართვისა და აგრეთვე დუქნების გაღებისა. ვაჭრობა დილიდანვე დაიწყო.

✦ **ბათუმში,** როგორც ადგილობრივი გაზეთი გადმოგვცემს, გაკრულია გენერალ-გუბერნატორის განცხადება, რომლითაც აკრძალულია ნება დაურთველად რაიმე კრების მოხდენა.

✦ სენატორი კუზმინსკი გუშინ, ოთხ აპრილს, **ბაქოში ჩავიდა.** რევიზიას ამ დღესვე შეუდგა.

✦ **როგორც ქუთაისიდან** გვატყობინებენ, ერთი როტა ყაზახ-რუსთა ახალ-სენაკში გაუგზავნიათ.

✦ როგორც პოლიცმისტერის ანგარიშიდანა სჩანს, 1904 წელს **ტფილისში ყოფილა სულ 194 ფაბრიკა** და ქარხანა, სადაც 3134 კაცი მუშაობდა. ხელოსანი ყოფილა 21,492 კაცი.

✦ 28 მარტიდან ტფილისის აბანოების მექისეებმაც **შესწყვიტეს მუშაობა** და თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს აბანოების მოიჯარადრეებს და პატრონებს. მექისეებს ეს რამდენიმე წელიწადია დაედოთ ესრედ წოდებული საგილდო გადასახადი. ზოგან—12, ზოგან—10 და ზოგან—8 მანეთი თვეში. გაფიცვა უმეტესად ამან გამოიწვია. სულ ქალაქში 500 მექისეა. სხვათა შორის, მოითხოვეს გაუქმდეს ზემოხსენებული გადასახადი, ბეს შეტანა, მიღება ან დათხოვნა მექისისა დამოკიდებული იყოს მათგანვე; გაუქმდეს ჯარიმა ფუთას გაფუჭებისა ან დაკარგვისათვის, მოეწყოს აბანოები სანიტარულ-ჰიგიენურად და სხვა. აგრეთვე მიეცეთ თავისუფლება კრებისა, კავშირებისა, სიტყვისა, სინიდისისა და სხვა. ამ დღეებში მოიჯარადრეებმა და პატრონებმა მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ ამ მოთხოვნილებებში მექისეებთან. მექისეებმა 3 აპრილიდან მუშაობა განაახლეს.

✦ 1 აპრილიდან ტფილისის **ტრამვაის მიმოსვლის წესი შეიცვალა.** აქამდე ტრამვაის უკანასკნელი ვაგონი ღამის თერთმეტ საათზე გამოდიოდა ერევნის მოედნიდან; პირველ ამ თვიდან-კი უკანასკნელი ვაგონი წამოვა ღამის თორმეტის ნახევარზე.

✦ გუბერნატორის ნებართვით ღვინო-არაყით მოვაჭრეებს დღეს, დილის 11 საათზე, **კრება ექნებათ** ტფილისის ქალაქის საბჭოში თავიანთ საჭიროებათ მოსალაპარაკებლად. ყველა, რასაკვირველია, თანაგრძნობით მიეგებებიან ამ ამბავს და კრებას დაესწრებიან.

✦ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი შულგინი გვთხოვს დავბეჭდოთ, რომ **ცხინვალის ნორმალურ სასწავლებელში.** სადაც სწავლა დროებით შეწყვეტილი იყო, მარტის დამლევიდან სწავლა განახლდაო.

✦ გორის მაზრის მცხოვრებმა, მემამულემ თავ. გ. ამირეჯიბმა შესჩივლა ტფილისის თავად-აზნაურთა მარშალს: შაბათს სრულიად უმიზეზოდ პოლიციის მე-2 ნაწილის უბნის ზედამხედველმა სინიცინმა, შავშავაძის ქუჩაზედ, შეურაცხება მომაყენა და შემდეგ პოლიციის ნაწილში წამიყვანა; აქ პოლიციელი მომვარდა და ცემა დამიწყოო. ასეთ ძალ-მომრეობისაგან დამიხსნა მეორე პოლიციელმაო. თავ. ამირეჯიბმა სთხოვა მარშალს მფარველობა პოლიციის თვითნებობისაგან. როცა თავ. ორბელიანი ამის გამო შეეკითხა მეორე ნაწილის ბოქაულს, მან განაცხადა, რომ სინიცინი წარდგენილ იქმნება სამსახურიდან გამოსარიცხავადაო.

თურმე 40 მან. ჰქონდა გადადებული, ვინ იცის რამ სიშორეზე მიჰყავდათ ურმები. საშიარისა გამო საქონელი წყდებოდა, ურმებს გზაში ჰყრიდნენ და მეურმეები ცარიელ-ტარიელი ბრუნდებოდნენ შინა და გასამრჯელოს ხან 6 მან. ხან 8 მან. გადმოუგდებდნენ ხოლმე.

მიზეზი ხალხის საერთო ამბოხებისა ბევრია კიდევ, ბევრია აგრეთვე საძაგლობა, რამაც გაამწარა ერი, მაგრამ მე ვერ მოგახსენებთ, სწერს არქიეპისკოპოსი სტეფანე მარკიზ პაულუჩჩის.—თვითონ ხალხს გამოჰკითხეთ, დაწვრილებით თვით ერი მოგახსენებს, რა ცეცხლი ეკიდა და როგორ იხრჩობოდა უსამართლობის ღვარცოფსა და ნაღვარდალშიო.

პაულუჩჩის მიტროპოლიტ იოანნე ბოდბელისთვისაც მიუწერია წერილი, გამაგებინეთ-რა მიზეზია, რომ კახელობა აჯანყდაო.

მეკითხებით,—უპასუხებს ბოდბელი, თუ რამ გამოიწვია შფოთი და ამბოხება. რაკი ასეა, იძულებული ვარ ამ მოხუცებულობაში თვალ-ცრემლიანმა გარკვევით აღვიარო მოყვასთა მიერ ჩადენილი ბოროტება, რათა იგი აღარ განმეორდეს. ვერ ვახერხებ, ვერა ვბედავ დავასახელო ყველაფერი, რაც მოხელეებმა მოიქმედეს. ღმერთო, რას არა სჩადიოდნენ! იტაცებდნენ რაც-კი რამ მოხვდებოდათ, სჩაგრავდნენ როგორც მამა-კაცებს, აგრეთვე დედა-კაცებს, იღებდნენ ქრთამსა, რის გამო ყველასათვის გასწყდა მართლიერება. მოხელეთაგან არავისა ჰქონდა მოსვენება არც ადამიანსა და არც პირუტყვს. პურის ფასი ექვსი აბაზი რომ ყოფილიყო, იგინი ოთხ აბაზს ანგარიშობდნენ, მაგრამ რა, ამასაც ღვთისნიერად არ აძლევდნენ, რადგან იმისთანა უსამართლო საწყაოთი იწყამდნენ პურსა, რომ კოდი ათ შაურად არ ჯდებოდა. შარშან ჭირნახული არ მოვიდა. ხალხს კოდ პურში ექვსი აბაზი მიუყარეს, ბაზარში-კი 4 მანათად ძლივს იშოვებოდა. ვსთქვათ, რის გამოვგლახოთ იმოდა სოფელმა პური რამდენიც [illegible]

სამი კოდი რომ დაჰკლებოდა, მაშინვე ეგზეკუციას თორმეტი სალდათისაგან ჩაუყენებდნენ. სადილ-ვახშამს გარდა სათითაოდ თხოულობდნენ სალდათები თითო ქათამსა და თუნგ ღვინოს. ამოდენი ხორაგი და სასმელი საჭირო არ იყო, მაგრამ ჯიბრით და ბოროტებით იქცეოდნენ, რომ სისხლი ერწყევინებინათ ხალხისათვის.

კაპიტან-ისპრავნიკები არხეინად ბრძანდებოდნენ, ხალხისათვის ზრუნვა-ფიქრით თავს არ იხეთქავდნენ, გულს არ იწუხებდნენ, თუ ზრუნავდნენ, მხოლოდ მარტო საკუთარ ჯიბის გასქელებაზე. უსამართლო მსაჯულნი გაივსნენ და ჩაიქცნენ ქრთამებით. ჯერ არ გაგონილა, რომ აქაურ მოსამართლეს სამართალი ექნას და ვინმე მართალი დაეკმაყოფილებინოს. თქვენ თვითონ შეგიძლიათ იხილოთ, რამდენსა ხანი ერია თვალვის სამსჯავროში საქმენი განურჩეველ-განუხილველი, რა არის ბოლომდ ქრთამი აიღოთ რა ძღვენ-საჩუქრებით გავიჩუროთ. ფიცსა სდებენ მოხელე-მოსამართლენი, რომ ქრთამს არ შეეხონ და სამართლე წარმძღვართნ წინ საქმის გარჩევის დროს, მაგრამ ფიცსა სტეხენ და სვინიდისს ღალატობენ. ცუდად მოქმედობს ხალხის ზნეობაზე ამგვარი საქციელი და ფიცის ტეხა. გონება-დაბნეული ერი ზნეობით იხრწნება.

სწუხს და შფოთავს სული ჩემი ამ სიბერისა და მოხუცებულობის ჟამსა, არ ვიცი, როგორ გავბედო და როგორ მოგახსენო ყველა ის ბოროტება, რომელიც საკუთარის თვალით ვიხილე, ან გამიგონია სანდო და მართლ-მოყვარე კაცთაგან? უსამართლობამ სასოება დაუკარგა ხალხსა, მიიყვანა სასოწარკვეთილებამდის და იძულებულ ჰყო იარაღისთვის ხელი წამოევლო. ბევრჯელ ვცნობე და შევატყობინე, ვინც მოვალეა იცოდეს, თუ რა გაჭირვება დაადგა ერსა, თქვენ-კი ვერ გაცოდინეთ, ვინაიდგან დრო არ მქონდა. ჯერ ერთი, რომ დიდად შე[illegible] თქვენ სხვაგან იყავით წასული. ესსაც-კი შევატყობინე ხალხის გაჭირვება, ვსთხოვდი, პატრონობა გაეწიათ დაჩაგრულთათვის, თორემ უპატრონობა და უყურადღებობა ცუდს ნაყოფს მოიტანს მეთქი. მერწმუნეთ, ბატონო ჩემო, დიდი ხანია ხალხს ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ მის ჩაქრობას და განელებას არავინ ფიქრობდა. ხალხის მიდგომით არ მომდის, ამას რომ მოგახსენებთ,—ათავებს წერილს ბოდბელი,—მიკერძება და მიდგომა არ შეჰფერის ჩემ ხარისხსა, სიმართლით ვიტყვი, თქვენი ნდობა რომ არა ჰქონოდა ერსა, აგიზგიზებული ცეცხლის ჩაქრობა დიდად რომ უფრო ძნელი იქნებოდა.

საქართველოს მარშალ გენერალ-მაიორ თ. თამაზ ორბელიანსაც დაეკითხა მარკიზი პაულუჩჩი—რა მიზეზია, რომ ასე მოულოდნელად იფეთქა ხალხის აჯანყებამო.—ორბელიანის პასუხი თითქმის განმეორებაა უკვე ნათქვამისა, მაგრამ ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია სავსებით მოვიყვანოთ მარშლის პასუხი, რადგან თითო-ოროლა ადგილი წერილისა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და მშვენივრად ახასიათებს მაღალ ხარისხოვან მაშინდელ დროის ქართველ მოხელეს. ალაგ-ალაგ წერილს მკაფიოდ ეტყობა უკმაყოფილება თავად-აზნაურობისა ახალის მართვა-გამგეობის წესით. ჩინოსან მოხელის პასუხი დიპლომატიის პილპილით შეზავებული ტონი ფრთხილი და წინდახედული. უკმეხს და მიუკარებელს ტორმასოვს, ეტყობა, დიდად უტკენია გული ქართველ ნარჩინებულ წოდებისათვის. ალბად, ეს უნდა იყვეს მიზეზი, რომ მარშალი, ევროპიულად, რომ ვსთქვათ, ფრონდიორობს, ანუ ჩვენებურად ბუზღუნებს, თან უმაღლეს კარსაც თვალს არ აშორებს.

კახეთმა და ქიზიყმა რომ იარაღი იხმარა რუსეთის მხედრობის წინააღმდეგ,—სწერს მარშალი,—როგორც დავრწმუნდი ერის მოთქმა-მოთქმიდან წინად და ეხლა, ჩემის ფიქრით და გონებით, ესაა მიზეზი: 1. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ორი წელიწადი ზედი-ზედ მოუსავლობა იყო საქართველოში. 2. ჩაგვრა და ახირება მთავრობისა, გინდა თუ არა პური უნდა მოგვეზიდოთ ჯარის გამოსაკვებად, მაშინ როდესაც ხალხს არ მოეპოვებოდა საკუთარის ოჯახის დასარჩენად ხორბალი. 3. მთავრობა გაჭირვებულდა, უსათუოდ ექვს აბაზად უნდა გვაძლიოთ კოდი პურიო. ხალხი იძულებული იყო, რაკი ოჯახში არა ჰქონდა რა, ბაზარში ეყიდნა ხაზინისათვის კოდი 4—5 მანათად. ფულის საშოვნელად მამულსა და ცოლ-შვილს აგირავებდნენ. სწორედ ამ გაჭირვების დროს მთავრობამ გაახსენა პურის ძველი ნედოიმკები და შეუტია მკვიდრს,—ნედოიმკა შეგვრიბეთ და ჩაგვაბარეთო. 4. სასურსათო მოხელენი უზომოდ ატყუებდნენ ხალხს წონაში ამ მოუსავლობით გაჭირვებულ დროსა. 5. იგივე მოხელენი განძრახ აჭიანურებდნენ კვირაობით პურის ჩაბარებას, რა არის ქრთამი დავცინცლოთო. ძალა უნებურად ქრთამს აძლევდნენ, ოღონდ-კი მალე ჩაებარებინათ პური. გაჭირვებული კაცი, რაკი მობეზრდებოდა მაღაზიასთან ტრიალი, თავს ანებებდა ურემსა და ხარ-კამეჩს და შინ გარბოდა. გაქცეულს, რასაკვირველია, ქირაც ეკარგებოდა. 6. ვერცხლ-მოყვარე სათუმო მთავრობამ მდაბიო ერი (დედანში: чернь) მეტის მეტად შეავიწროვა და შეაწუხა. 7. საითაც კი ჯარი დაიძვროდა, აუარებელი ბეგრის ურემი გაჰყავდათ. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რამოდენა საქონელი გაწყდა ბეგარაზე, თითქმის მეოცედი ნაწილიც არ დაბრუნებულა შინ უვნებელი. ძვირად ნაყიდის საქონლის დაკარგვა სამუდამოდ აღატაკებდა გლეხ-კაცობას. 8. შინაური მართვა-გამგეობა საქართველოსი, ანუ მთავრობის დაწესებულებანი არ შეეფერება აქაურ ხეპრე და გაუთლელ (დედანში: грубый) ერის ზნე-ხასიათსა. შეუფერებელ დაწესებულებას გენერალ ტორმასოვის დროიდან საგრძნობელად შეეპარა ბოროტ-მოქმედება, რომელიც უფრო ამწვავებდა საქმეს. 9) ხალხი დრტვინავდა, ამოთრის [illegible] და ბეგარა ჩვეულებრივ დადა-კუ[illegible] არც ერთ წინანდელ მთავრობის [illegible] დათ. წელში გავწყდით, [illegible] შეგვიძლიან, გაიძახოდა ხალხი, მთავრობა-კი ყურსაც არ იბერტყავდა. 10) ძლიერი სამხედრო ეგზეკუცია, რომელიც სრულებით არ შეეფერება კავკასიის ერის ზნე-ხასიათსა, ჩვეულება-ადათსა.

შეუძლებელია არა სცოდნოდა ხალხის გაჭირვება თქვენს წინა მოადგილეს კავალერიის გენერალ ტორმასოვს, რომელსაც მრავალჯერ მოახსენეს, რომ უზომოდაა შეწუხებული მკვიდრიო. მაგრამ ტორმასოვი თავად-აზნაურობას პატივს არა სცემდა და ყურადღებას არ აქცევდა. რადგაც მიუკარებელი ადამიანი იყო, ზიზღით ეპყრობოდა ჩვენს რჩევას და ხალხის საჭიროებას. ეს იყო მიზეზი, რომ ჯერ-ჯერობით მეცა და სხვებიც უკან შევდექით და არ მოგახსენეთ ყველაფერი თქვენცა, ვითარცა აქაური ქვეყნის ახალს უფროსსა და მმართველს. ამასობაში სრულიად მოულოდნელად იფეთქა ხალხის აჯანყებამ. პირადად მე არავითარი მოხსენება არ მიმიღია არც ერთი მარშლისაგან, რომ ხალხი ჰღელავსო. განათუ მარშლებს, სხვებსაც არაფერი არ შეუტყობინებიათ ჩვენთვის არც წერილით, არც სიტყვიერად. ჩემის ფიქრით, ხალხი თუ აქამდისინ არ აჯანყდა, მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ ძლევა მოსილი მხედრობა მათის იმპერატორებითის უდიდებულესობისა ხალხს იფარავდა და იცავდა გარეშე მტრის შემოსევისაგან.

უმორჩილესად გთხოვთ,—ასე ათავებს წერილს თ. თამაზ ორბელიანი,—ზემოთ ნათქვამი უმაღლესს კარს აცნობოთო. 33).

ა. ფრონელი

---

33) იხ. АКТЫ, ტ. V, გვ. 65, 66, 83, 84, ქვეხა, ქედხუდი სპარსული სიტყვაა, ჩვენებურად მამასახლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ 3 აპრილს მოხდა წლიური კრება ტფ. დურგალთა ამხანაგობისა. კრებამ, კამათის შემდეგ, დაამტკიცა ანგარიში. ამავე კრებაზე გამგეობის თავმჯდომარედ ისევ არჩეულ იქმნა გ. თოიძე, გამგეობის წევრებად: ი. რუსიშვილი და ბერძნიშვილი (ორივე ძველი წევრია). კან[illegible] აარჩიეს ა. ედიკაშვილი, სარევიზიო [illegible] წევრებად: დ. გიგაური, თ. დვალიშვილი და ა. ციხისოვი; დამფასებელ კომისიის წევრებად: ნ. კობიძევი, ი. გლურჯიძე და ზ. ნაბიჭვრიშვილი.

◆ ამას წინად გაზეთებში დაბეჭდილი იყო, ვითომ გორის მაზრის სოფ. კინწვისში თავად ციციშვილების თხოვნით, გლეხთა მოძრაობის გამო, 30 ყაზახ-რუსი და საერობო დარაჯი გაეგზავნოთ. ეს ამბავი, როგორც გავიგეთ, ტყუილი გამოდგა.

◆ ეს რამდენიმე დღეა მეტეხის საპყრობილიდან გაუნთავისუფლებიათ ქურდობისათვის რამდენიმე თვით დასჯილი ივანე პ. როზიევი. 2 აპრილს როზიევი თავის ამხანაგებთან ერთად აჯამეთის ქუჩის მოსახვევში ბადრიძის სახლში, ნაზგასიძეს ბინის კედელი გამოუნგრევია, შემძვრალა და რაც რამე ძვირფასი ნივთი ყოფილა, წასაღებად მოუმზადებია. ამ დროს შინ დაბრუნებულა სახლის პატრონი შვილითა და ნათესავით. პოლიციელისათვის შეუტყობინებიათ და ვოზიევი დაუპატიმრებიათ; მეორე ქურდი გაქცეულა.

◆ 3 აპრილს მეორე გილდის ვაჭარს ა. ღარიბოვს ლერმონტოვის ქუჩაზედ შეხვდა თურმე თავის [illegible] სერგო მირზოევი და მისი ნაცნობები ვ. და ნ. კარაშვილები, [illegible] ეჯუბოვი. ამ უკანასკნელს ღარიბოვისთვის სესხად 1 მან. უთხოვნია. ღარიბოვს უარი უთქვამს. ეჯუბოვი ამავე სათხოვრით მისულა ღარიბოვის სახლში და მიუმართნია იმის ცოლისთვის, რომელსაც ეჯუბოვი ბოროტ-გამზრახველად ჩიულია და ყვირილით შვილისთვის დაუძახნია. ღარიბოვის ვაჟი რევოლვერით გავარდნილა და უსროლია. ამ დროს პოლიციელიც მისულა და მასაც შესაშინებლად ჰაერში რევოლვერა უსროლია. ეჯუბოვი დასჭრეს ბარძაყსა და სახეში. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

◆ 2 აპრილს რიყეზედ თაიროვის სახლში ჩხუბი მოუვიდათ ახალციხის მოქალაქეს პეტროსოვს და დარჩო თაირაშვილს, ჩხუბის დროს ამ უკანასკნელმა დანით დასჭრა პეტროსოვი, რომელიც მიხეილის სამკურნალოში წაიყვანეს, მაგრამ გზაში მოკვდა. თაირაშვილი დააპატიმრეს.

◆ პოლიციის მე-7 ნაწილში, ფალავანდიშვილის ქუჩაზედ, მარკოზოვის დუქნის წინ ვიღაც კაცმა, სახელად კულამ (გვარი არ იციან), სასიკვდილოდ დასჭრა გეურქ არაქელოვი. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

ტრამვაის მოსამსახურეთა კრება

მეტად საყურადღებო კრება ჰქონდათ 2 აპრილს ტფილისის ტრამვაის მოსამსახურეთ. ოთხასამდე კაცი შეიკრიბა საბჭოს დარბაზში და ნამდვილ წესიერების სრულის დაცვით დინჯად და საბუთიანად გამოარკვიეს თავიანთი საჭიროებანი (კრება ნება-დართული იყო ადმინისტრაციისაგან; გარეშე პირები (გარდა გაზეთის წარმომადგენლებისა) და პოლიციელები არ დაესწრნენ თანახმად შეკრებილთა სურვილისა).

კრება დაიწყო გვიან: მხოლოდ საღამოს ათ საათზე შესწყდა ვაგონების მოძრაობა; სანამ ფულს ჩააბარებდნენ კასსაში, სანამ საბჭოს დარბაზში მოვიდოდნენ, საათზე მეტი გავიდა. თორმეტის 15 წამიდან დაწყებული გათენებამდე გაგრძელდა სხდომა და წესიერება ერთხელაც არ დარღვეულა, და, ეს ისეთმა ხალხმა ჩაიდინა, რომელსაც არავითარ პოლიტიკურ გაწვრთნის მიღება არ შეეძლო და შედარებით თავისუფლად პირველად იკრიბება.

თავმჯდომარედ აირჩიეს თავისივე ამხანაგი, კანტროლერი გიგიაპერია. აირჩიეს სამსახურის სხვა-და-სხვა ნაწილის წარმომადგენლნიც.

პირველად ყოვლისა თავმჯდომარე შეეკითხა კრებას—გსურთ, რომ ვინც აქ არიან, უკლებლივ დაესწრნენ ჩვენს მოლაპარაკებას, თუ ზოგს არ ენდობით და აქედან წავიდნენო. კრებამ ერთხმად დაასახელა რამდენიმე საეჭვო პირი და ესენიც შერცხვენილნი და დამცირებულნი გავიდნენ დარბაზიდან. ისეთ მდგომარეობაში ყოფნა, როცა ოთხასამდე ამხანაგი ასეთ უნდობლობას გიცხადებს და საჯაროდ გრიცხავს თავის წრიდან, სიკვდილი უნდა იყოს ყველასათვის, ვისაც კი ადამიანობის ნიშან-წყალი შერჩენია.

საეჭვო ამხანაგების მოშორების შემდეგ თავმჯდომარემ სიტყვით მიმართა კრებას: [*]) შრომამ იმატა, დიდად იმატა ტრამვაის საზოგადოების შემოსავალმაც და ჩვენი ხელფასი კი მომატების მაგიერ შემცირდა; მეტად გაჭირვებულნი ვართ და უნდა ვიღონოთ რამე ჩვენის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; ამისათვის მხარში უნდა ვუდგეთ ერთმანეთს, არ გავცეთ ამხანაგი და არ მივბაძოთ იმ ამხანაგების მაგალითს, ეხლა რომ შერცხვენილნი წავიდნენ აქედან; ყველამ უნდა გამოვთქვათ ჩვენ-ჩვენი გაჭირვება და ერთად შევიმუშაოთ ჩვენი მოთხოვნებიო.

თავმჯდომარის შემდეგ ილაპარაკა დინჯად და დალაგებით კიტრიაშვილმა: ამოდენა ძალას გვხარჯავთ და ამ დახარჯულ ძალას შევსება ეჭირვება; ქირას კი ისე მცირეს გვაძლევენ, რომ ამ დანახარჯს ვერ შევივსებთ; მძიმე უღლის შესამსუბუქებლად ერთობა გვინდა ეხლაც და შემდეგშიც, როცა ჩვენ მოთხოვნათ არ დააკმაყოფილებენ—მაშინაც ერთად უნდა ვიყვნეთ და წინ წავიდეთ; ერთად უნდა ვიყვნეთ არა მარტო სიტყვით, საქმითაც.

უფრო დაწვრილებით ილაპარაკა კონდუქტორმა დანელიამ. [illegible] სუთის წლის წინად კონდუქტორს 1 მანეთს [illegible] დღეში, შემდეგ მოგვიმატეს და 1,50 გვაძლევდნენ, არც ამდენი ჯარიმა იყო, ეხლა რომ არის: შეგვეძლო დროებით განთავისუფლება ჯამაგირით. მაგრამ ცოტანი ვიყავით და დიდი ჯაფა გვქონდა. მოთხოვნისამებრ მოგვიმატეს ხელფასი, მაგრამ სამაგიეროდ ქირა დაგვიკლეს—75—80 კ. გვაძლევენ, ელექტრონის ტრამვაიმ კიდევ უფრო შეავიწროვა ჩვენი მდგომარეობა—მუშაობა ისე ძნელია, რომ 8 საათსაც ვერ გაუძლებს კაცი. გავიფიცენით, რომ არაფერი არ გაგვივიდა; ჩვენ მაგიერ სალდათები ჩააყენეს და კაი ხაითა და პურით უმასპინძლდებოდნენ. ვეღარ შევძელით და ისევ დავუბრუნდით მუშაობას. ეხლა სულ უკანასკნელი 3 საათით უფრო მძიმეა ჩვენი მუშაობა, ვიდრე წინ იყო; სანოვაგეც საშინლად გაძვირდა. დირექცია არ აქცევს ყურადღებას ჩვენს გაჭირვებას, ამოდენა ფული შემოსდით და ჩვენთვის არც საავადმყოფოა, არც ექიმი, არც სამკითხველო, რომ თავისუფალ დროს დუქნებში არ ვისხდეთ, არც აბანო, არც სკოლა ჩვენის შვილებისათვის. მაშ რა გაგვიკეთა დირექციამ?—სრულიად არაფერიო, ერთხმად იგრიალა კრებამ. ავად გავხდებით, ჯამაგირს გვისპობენ, სამშობლოში ვერ წავსულვართ მოკლე ვადით—ჯამაგირს არ გვაძლევენ.

ვატმანი კაჩურინი ამბობს, ელექტრონის ტრამვაიმ ისე გააძნელა საქმე, იმდენი ნერვებ-[illegible] ჯაფა სჭირდება, რომ ცხრა საათი ვატმანს მთელ საუკუნედ ეჩვენებაო.

ერთი ახირებული წესი მოუღიათ კიდევ ტრამვაის მოსამსახურეთათვის—გინდა არ გინდა ამა და ამ ღირსების ფორმა შეიკერეთო და ეს ფორმა კი, სულ უკანასკნელი, სამი თუმანი ჯდება ხოლმე. ესეც იჩივლეს. სტოროჟების წარმომადგენელმა სთქვა—ექვსიდან 11 საათამდე ვმუშაობთ, გამოცვლა ჩვენთვის არ არის და პურის ჭამის დრო; წინად თვრამეტ შაურს გვაძლევდნენ, ეხლა-კი სამ აბაზზე ჩამოგვიყვანესო.

ერთის სიტყვით ყოველ მხრივ გაითვალისწინეს თავიანთი მდგომარეობა და განაცხადეს—მეტი აღარ შეგვიძლია ასეთ მდგომარეობის ატანა და მოვითხოვთ შეგვიმსუბუქონ მძიმე უღელიო.

დაახლოვებით შემდეგი მოთხოვნები შეიმუშავეს კრებაზე:

1. რვა საათის სამუშაო დღე; 2. კონდუქტორს და ვატმანს უნდა მიეცეს შესვლისას ერთი მანეთი და შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ყოველ სამ თვეს 15 კ. მიემატოს. 3. კანტროლიორს და სადგურის უფროსს—1,50 და ერთის წლის განმავლობაში ყოველ სამ თვეს 15 კ. მიემატოს; ეხლა 1,20 ეძლევათ. 4. სტოროჟებსა და მუშებს* არა ნაკლებ 1 მანეთისა და უნდა ჰყავდეთ გამომცვლელი. 5. სათადარიგო მოსამსახურეთ მიეცეს ნახევარი ჯამაგირი (ეხლა ეძლევათ 20 კ. დღეში); 6. შეგირდებსაც ნახევარი. 7. უქმე-დღესასწაულებში ორი ფასი ყველას (გაცილებით მეტი მუშაობაა); 8. აღდგომას, შობას, ახალწელიწადს და ამათ წინა დღეებშიც მხოლოდ 4 საათი უნდა იქნეს მუშაობა. 9. ბინისათვის უნდა ეძლეოდეთ კონდუქტორებს და ვატმანებს 3 მ. ზაფხულობით და 5 ზამთრობით, კანტროლიორებსა და სადგურის უფროსებს 5 და 7; 10. წელიწადში ერთხელ საჩუქარი ერთის თვის ჯამაგირის ოდენა; 11. ფორმის ტანისამოსი დირექციის ხარჯით. 12. ექიმი და წამალი უფასო როგორც მოსამსახურისა, ისე მის ოჯახისათვის. 13. ავადმყოფს ადგილი რჩება მთელის წლის განმავლობაში; ჯამაგირი კი (სრული) ორ თვეს: 14. სამსახურის დროს დაშავებულს სრული ჯამაგირი მორჩენამდე; 15. შრომის უნარის დამკარგველს სამსახურის გამო ერთ დროებითი შემწეობა—ათის წლის ჯამაგირი; 16. წლის განმავლობაში ორის კვირით დასვენება ჯამაგირის შენახვით; 17. საამხანაგო სამართალი: უსამართლოდ მოსამსახურის დათხოვნა არ უნდა იყოს; 18. საურთიერთო დახმარების კასსა, შედგენილი მოსამსახურეთა ჯამაგირის განსაზღვრულ პროცენტისა, ძველ და ახალ ჯარიმების და ტრამვაის წმინდა შემოსავლის განსაზღვრულ პროცენტისაგან; 19. დაზღვევა; 20. ახალ ინსტრუქციის შედგენა მოსამსახურეთა წარმომადგენლების მონაწილეობით; 21. უფროს თანამდებობაზე მოსამსახურეთაგანი უნდა ინიშნებოდეს ამხანაგებისავე რეკომენდაციით; 22. გაფიცვის დროის (ძველი და ახალი) ფული უნდა მიეცეს გაფიცულებს; 23. უ ფასო ბიბლიოთეკა და აბანო და სხვა.

---

[*]) სიტყვამდე კრებამ, თავმჯდომარის წინადადების თანახმად, დიდი მადლობა გამოუცხადა ერთხმად ქალაქის თავს დარბაზის დათმობისათვის.

ინტერვიუ ეპისკოპოსის დიმიტრისა

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი დიმიტრი, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, იძულებული იყო თავი დაენებებია კათედრისა და სამწყსოსათვის, ალექსანდრე-ნეველის ლავრაში იმყოფება პეტერბურგ. მასთან მისულა „ნოვოე ვრემია“-ს თანამშრომელი ალ. ივანოვიჩი ამბების გამოსაკითხავად.

„ბევრ სისულეებს ავრცელებენ ჩემ შესახებაო, უთქვამს ეპისკოპოსს:—მე არა თუ ქართულად ვლაპარაკობ, მღვდელ-მსახურებასაც ქართულად ვასრულებ... ამბობენ ვითომც სამღვდელოება ქართველების გარუსებას სცდილობდეს და მერე სად? დასავლეთ საქართველოში, სადაც სულ ქართული სამღვდელოებაა, სადაც სამღვდელოებამ არც-კი იცის რუსული და მაინცა და მაინც რუსეთის სასარგებლოდ ვერ არის განწყობილი... უსიამოვნებაც გამოიწვია, მაგალითად, ეპისკოპოს არსენის განკარგულებამ—სოხუმში ნუ სწირავთ ქართულადო; მაგრამ სოხუმი ხომ თავის დღეში არ ყოფილა საქართველოს სამფლობელო და მცხოვრებნიც უპირატესად რუსები და აფხაზები არიან. ამათ შემდეგ მოდის მოსული ქართველობა და სასაცილო იქნებოდა, რომ რუსებმა ნება მისცენ ქართველებს აფხაზების გაქართველებისა... თავის დღეში არ დამიმალავს, რომ რუსეთი მიყვარს და მსურს მისი ძლიერება; მაგრამ ის კი ყოვლად უსაფუძვლო სისულელეა, ვითომ ძალას ვატანდი მღვდლებს აღსარების დროს შეეტყოთ მრევლის აზრი და შემდეგ ვჯაშუშობდი. მიუხედავად ყველა უსიამოვნებისა, რომელიც ფოთში გადავიტანე, კათედრისა და სამწყსოს მიტოვების იძულებამდე, აქამდე მომდის ხალხის ჩემდამი სიყვარულის ნიშნები“.

ქართულადაც უწირავს ეპისკოპოს დიმიტრის, მაგრამ მას შემდეგ, რაც მრევლი ეკკლესიიდან გამოვიდა არა-ქართულად წირვის გამო. რუსული არ იცის მთელმა სამღვდელოებამ და არც უყვართ რუსეთიო, ამბობს გურია-სამეგრელოს სამღვდელოებაზე ეპისკოპოსი დიმიტრი, რომელიც მეტად აღშფოთებულია იმის გამო, რომ, სხვათა შორის, ჯაშუშობასაც სწამებენ...

კარგია კიდევ საუბრის ბოლო: ხალხს, ჩემ მრევლს ძალიან ვუყვარდი, დღესაც მომდის მის სიყვარულის ნიშნებიო და მაინც იძულებული გახდა კათედრისა დასამწყსოსათვის თავი დაენებებია! როგორ მოხდა ასეთი ამბავი ან ვინ აიძულა ხალხის საყვარელი მწყემსი პეტერბურგში გადასახლებულიყო?

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

3 აპრილი

სინგაპური, 4 აპრილი. („რეიტერი“) გერმანიის გემს „პრინც გენრიხ“-ს 1 აპრილს, შუადღეზე, დაუნახავს კამრაუს ყურეში რუსის ესკადრის 18 გემი. იაპონიის გემები არ შეუმჩნევიათ არსად.

გონკონგი, 4 აპრილი. („რეიტ.“) ორთქლმავალი გემი „ტელემახუს“-ი იუწყება, ზარბაზნების სროლა გაიგონე 30 მარტს, შუადღის 3 საათზე, 159 მილის მანძილზე ნატუნის კუნძულების ჩრდილოეთითო.

სინგაპური, 4 აპრილი. „დეილი მეილი“ დაბეჯითებით ამბობს, კამრანის ნავთ-საყუდელში ბალტიის ესკადრის 5 ჯავშნოსანი და 6 კრეისერი შეამჩნიესო.

გონკონგი, 4 აპრილი. („დეილი მეილი“). მოვიდა ცნობა, რუსთა და იაპონელთ შორის მცირე შეტაკება მოხდა ზღვაზეო. დაწვრილებით არაფერი ვიცით. ორთქლმავალ გემის „ლინკელნშაირის“ მგზავრები იუწყებიან, რუსის ნალმოსანი, № 35, თვალ-ყურს ადევნებს სანახშირე ტრანსპორტებს „ნიუ-ტინხილ“-ს, „ბეტერსიაირტჩ“-ს, „ხოვიკხაილ“-ს და „სენტელენა“-ს, რომელნიც აქ 2 აპრილს მოვიდნენო. სანახშირე გემზე მოსამსახურე მეზღვაურნი უარს ამბობენ გზის განგრძობაზე. იუწყებიან, რუსის ესკადრის შესახვედრათ წავიდა ბევრი დატვირთული ჩინური გემიო. საიგონის გაზეთების სიტყვით საფრანგეთის კრეისერმა „დეკარტ“-მა ღუზა გადააგდო წმ. იაკობის კონცხთან, რათა საფრანგეთის მიწა-წყალზე ნეიტრალიტეტი დაიცვას.

ტოკიო. 4 აპრილი. („დეილი-ტელეგრაფ“-ი). შანხაიში იუწყებიან გონკონგიდან ტელეგრაფით, ორთქმავალი გემი „კორნა“ 29 მარტს შეხვედრია ბალტიის ესკადრას კონდორის კუნძულებთან. „კორნა“-ზე ასულა რუსის კრეისერის აფიცერი; ესკადრას მწყობრ-მავალი კრეისერები ცავდნენო. ცენტრში იყვნენ მოქცეული ჯავშნოსნები, ჯავშნიანი კრეისერები, ტრანსპორტები და სანახშირე გემები. ესკადრა, ალბათ პარაცელის არხიპელაგისკენ მიდიოდა. იაპონიის პრესსა აქეზებს გარეშე საქმეთა მინისტრს მოჰკიდოს ხელი ინგლის-იაპონიის კავშირის საკითხის დამუშავებას, რათა შემდეგისათვის დაცულ იქნას ისეთი შეთანხმება, რომელიც ორივე სახელმწიფოს გამოადგება.

პეტერბურგი, 4 აპრილი. უმაღლესი რესკრიპტი ირკუტსკის სამხედრო გენ.-გუბერნატორის, ინფანტერიის გენერლის, გრაფ კუტაისოვის სახელზე: „გრაფ, პავლე იპოლიტეს ძე! გართულმა რუსეთის ყოველ კუთხის წარმატებაზე ზრუნვაში, მივაქციე ყურადღება თვალუწვდენელ ციმბირის საჭიროებებს, რომელნიც სწრაფად იზრდებიან. რკინის გზის დიანდაგმა, რომელიც ციმბირსა და ევროპის რუსეთს ერთმანეთთან აკავშირებს, დიდი ცვლილება მოახდინა ადგილობრივ სამოქალაქო ცხოვრებაში. გადასახლებულთ გაძლიერებულმა დასახლებამ ციმბირის მხარეში, რომელიც იზიდავს მათ თავისი ბუნებრივის სიმდიდრით, ძლიერ წასწია წინ ამ ქვეყნის საწარმოოს ცხოვრებისაგან ახლად წარმოშობილია ბევრი ძალნი. პირობები, რომელთ ბევრი საკითხი წამოაყენეს წინ გადასაწყვეტათ, მაგრამ მათი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მკვიდრთა წარმომადგენლების მონაწილეობით. მომწიფებულ საკითხთ აღარ შეეფერება ის წეს-რიგი, რომელიც სწარმოებს ციმბირის სათემო-საერობო საქმეების მართვაში, და ამიტომ მე საჭიროდ ვსცან ეს საქმეები ირკუტსკის სამხედრო საგენ.-გუბერნატოროში და ტობოლისა და ტომსკის გუბერნიებში, გადაეცეს ისეთ დაწესებულებებს, რომელთაც საფუძვლად ექნებათ თვითმოქმედი, საზოგადოებრივი და ნაყოფიერი პრინციპები, რაც უზრუნველ ჰყოფს თავის დროზე დაკმაყოფილებას ცხოვრების მოთხოვნილებებისას, რომელნიც განუწყვეტლივ იზრდებიან. რათა ეს ასრულებულ იქნას, მოგანდობთ თქვენ შეუდგეთ თქვენდამი რწმუნებულ საგენ.-გუბერნატოროში ერობის დაწესებულებების შემოღების საკითხის შემუშავებას იმ ბრძანების მიხედვით, რომელიც 1904 წ. 12 დეკემბერს სენატისადმი ბოძებულ უქაზის მეორე პუნქტშია. ამ საქმის შესახებ თქვენი მოსაზრებანი აცნობეთ შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა მან მისცეს საქმეს საჭირო მსვლელობა. ღმერთმა ჰქნას, რომ ამგვარ ზომას გაერთიანებინოს ციმბირი ძირითად რუსეთთან. დავშთები მუდამ თქვენი მწყალობელი“. ნამდვილზე საკუთარ ხელ-მოწერილია: „ნიკოლოზი“.

მოსკოვი. სერგი ალექსანდრეს ძის მკვლელის საქმის გარჩევაზე წოდების წარმომადგენლებათ დანიშნული არიან მოსკოვის ქალაქის თავი და პეტერბურგის თავად-აზნაურთა წინამძღოლი.

კავკავი, 4 აპრილი. გუშინ მკვიდრთა შეიარაღებულმა ბრბომ გაძარცვა ქალაქის ახლო მდებარე ხუტორ-რუტერ პატრონი დასჭრესო. მძარცველები მიიმალნენ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

4 აპრილი

ბერლინი. „ფოსსიშე ცაიტუნგ“-ი ამბობს, იაპონელები აღარ არიან ბატონები ზღვაზე და მათი ვაჭრობა ზღვაზე ძლიერ ფერხდებაო. ტოკიოს ბირჟაზე კურსი ეცემა. გემების დასაზღვევ პრემიებს ემატება. იაპონიის არმიამ ახლა ანგარიში უნდა გაუწიოს რუსის კრეისერებს, რომელნიც, ჩამოშორდნენ რა ესკადრას, თავიანთი თარეშებით შეუძლიან გზა მოუჭრან დროებით იაპონიის ხმელეთის ჯარებს და საგრძნობელი ზიანი მიუტანონ მათ, მაშინ როდესაც იაპონიის ესკადრას არ ექნება შეძლება გამოინაკლოს რაზმები და ხელი შეუშალოს იმათ თარეშს.

ვაშინგტონი. ქ. კარნეგიმ ამნაირი პასუხი გასცა იმათ, ვინც მას მიმართა შემოწირულებისთვის ომში დახოცილ იაპონელთ ოჯახების სასარგებლოდ: „მე ვშიშობ, რომ თქვენ იმისთანა პირებს მიმართეთ, რომელნიც არ თანაუგრძნობენ თქვენს მოსაზრებას. იქნება მე და ჩემს ქმარს ახირებული იდეიებიც გვქონდეს, მაგრამ ჩვენ იმ ზომამდე გვძაგს ყოველგვე ომი, რომ, ვფიქრობთ, ხალხს წინდაწინ უნდა გაეგო საშინელი შედეგები და ასე მოუფიქრებლად არ დაეწყო ომი და არ მიეტოვებინა ქვრივ-ობლები ბედის ანაბარად. ყოველ შემთხვევაში ჩვენ სრულებით იმას არ ვამბობთ, რომ რომელიმე მებრძოლი მხარე მართალი იყოს“.

გონკონგი. კერძო დეპეშა იუწყება, ბალტიის ესკადრის ნაწილი შეამჩნიეს ტურანის ნავთსადგურის ახლოს კამრანის ნავთსაყუდლის ჩრდილოეთითო.

ნიუ-იორკი. ბარონმა კანეკომ სთქვა, იაპონიაში 90 ათასი რუსია ტყვეთ. ომში ჩვენ ასი ათასი კაცი დავკარგეთ და კიდევ ერთ მილიონს შევწირავთ, თუ საჭირო დარჩებაო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი

განცხადებანი

◆ კბილებს ◆

ვილებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვა[illegible] ცუდ სუნს. გ. მოხვედი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს [illegible] (30—28)

[illegible]

საპონი

№ 4711

შეიცავს ბევრ გლიცერინს.

დიდი ეკონომია, რადგან ბევრი ქაფი იცის.

ნაზი სურნელებ ვარდისა,— აი თვისება, რომლითაც ეს საპონი დიდად განირჩევა.

ფერდ. მიულჰენსი,

სამრეკლოში № 4711 კელნსა და რიგაში.

პირველი საწყობი

შუშისა

◆ [illegible] ◆

ანდრეევის [illegible] მიღებულია [illegible] შუშა ყოველგვარ [illegible] და სხვა მუხის დიდი ბოძები. შუშის სახლში მი[illegible] ბა საჟნობითაც და ფუთობითაც. მყიდველს [illegible] თავგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან [illegible] ხიდის ყურთან. (20—29)

[illegible]გე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის საწყობში (ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება

◆ ცელულიარული გრენა ◆

(აბრეშუმის თესლი)

თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.

ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საქაჩავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები. პრეისკურანტი უფასოდ (15—6.—5)

◆ გორო-ნაფტალინი ◆

სრულიად აქრობს თავის ქერტლს, ამაგრებს თმას და ხელს უწყობს თმის ამოსვლას; ამასთან თმას ნამდვილ სახეს აძლევს.

ნება დართულია სამკურნალო განყოფილებისაგან როგორც უვნებელი ნივთიერება. საწყობი საფთიაქო საქონლის კავკასიის ამხანაგობისა ტფილისსა. ბაქოსა და ბათუმში; რუსეთის აფთიაქებსა და საფთიაქო მაღაზიებში.

ფასი [illegible] (5—5)

СѢДЕЛЬН,
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ—176—204)

განცხადება

გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ საზღვარ-გარეთიდან ეხლახან მივიღეთ აუარებელი საუკეთესო სისტემის

საკერავი მაშინები

ყოველივე თავის მოწყობილებით.

ფასი ძლიერ პირიანია.

ხელ-მოკლე მუშტრებს საკერავ მაშინებს ვაძლევთ ნისიადაც, რომელთაც შეუძლიანთ წვრილ-წვრილად გადაიხადონ მაშინის საფასური. სიონის ქ. მაისურაძის და ხოჯაავარუხოვის ქარვასლა.

(15—8) პატივის-ცემით გ. ა. ლაზარევი და ძმანი ჯუმუხაძეები.

Какао Ванъ-Гутена

ერთი ფინჯანი კაკაო
ვან-ჰუტენისა
ყოველ ეჭვს გარეშე
საუკეთესო მოსანელებელი
საუზმეა
Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія).